ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პოლიტიკის მეცნიერება

ნიცა ციცაგი

სხეული, როგორც პროტესტის რეპერტუარი - „FEMEN”-ისა და „SlutWalk”-ის მაგალითზე

ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: თამარ ქარაია

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი,

ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2023 წელი

ანოტაცია

თანამედროვეობაში ყველასთვის შესამჩნევად იზრდება საპროტესტო მოძრაობების რაოდენობა. ისინი იყენებენ არატრადიციულ პროტესტის გზებს, უშუალოდ კი სხეულის სხვადასხვა მხრივ დემონსტრირებას, რაც ხაზს უსვამს საკითხის აქტუალურობას. ამ სახის პროტესტს წარმატებით იყენებენ სხვადასხვა საკითხის შესახებ მოთხოვნების წაყენებისა და ყურადღების მიპყრობის კუთხით.

საბაკალავრო ნაშრომის მიზანია, პროტესტში ადამიანის სხეულის მნიშვნელობისა და დატვირთვის ანალიზი. ამასთან, ყურადღება იქნება გამახვილებული ორ მოძრაობაზე „FEMEN”-სა და „SlutWalk”-ზე, ასევე მათ გამოცდილებაზე. მოცემული კვლევა ეფუძნება თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიას, რომელიც ეყრდნობა სიღრმისეულ ინტერვიუებს ზემოთ ხსენებული ორგანიზაციების წევრებთან და აქტივისტებთან, რომლებიც აქტივიზმისას სხეულის დემონსტრირებას იყენებენ სხვადასხვა დატვირთვით.

სარჩევი

შესავალი *4*

თავი 1. პროტესტი და მისი რეპერტუარი- თეორიული ასპექტები *8*

1.1 სხეული, როგორც პროტესტის რეპერტუარი **13**

თავი 2. შიშველი სხეული, როგორც საპროტესტო ინსტრუმენტი- „FEMEN"-ისა და „SlutWalk"-ის მაგალითზე *16*

2.1 „FEMEN"-ის სტრატეგია და საპროტესტო პრაქტიკის ანალიზი **18**

2.2 "SlutWalk"- ის მიერ სხეულის პროტესტის რეპერტუარად გამოყენების ანალიზი . **24**

თავი 3. „FEMEN"-ის და „SlutWalk"- ის შედარებითი ანალიზი *30*

დასკვნა *38*

გამოყენებული ლიტერატურა *40*

დანართი #1 ..... *43*

დანართი #2 ..... *45*

შესავალი

სხვადასხვა სახის საპროტესტო მოძრაობები და დემონსტრაციები იპყრობენ საზოგადოების დიდ ყურადღებას და ხშირ შემთვევაში იღებენ გლობალურ ხასიათსაც. ერინ ბლექმორის აზრით, პროტესტი კოლექტიური მოქმედების ფორმაა, რომლის მიზანია სააშკარაოზე გამოიტანოს საჯარო, კოლექტიური მოთხოვნები და პრეტენზიები. პროტესტს საჯარო და კოლექტიურ ჭრილში განიხილავენ ჩარლზ ტილი და სიდნი ტაროუც. უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს პროტესტის გამოხატვის სხვადასხვა ფორმები (Ortiz et al., 2021).

ნაშრომის ფარგლებში ჩვენი ორიენტირი იქნება ადამიანის სხეულის როლის განხილვა პროტესტისას. ბოლო წლების მონაცემებით, ჩამოყალიბდა ბევრი ორგანიზაცია და მოძრაობა, რომლებიც პროტესტს გამოხატავენ სხეულის სიშიშვლით. ასეთ მოძრაობებს მიეკუთვნება "FEMEN", „SlutWalk", "Pussy Riot" და ა.შ. თითოეულ მათგანს გააჩნია საკუთარი მიზანი და სტრატეგია. ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ ორგანიზაციად ითვლება „FEMEN", მისი სტრატეგია ორიენტირებულია პროვოკაციულ და ყურადღების მიმპყრობ ტაქტიკაზე. "FEMEN"-ის აქტივისტთა ჯგუფი ცნობილია შიშველი მკერდის, ე.წ. „ტოპლეს" აქტივიზმით (About Us- FEMEN). ასევე, ისინი იყენებენ სოციალურ მედიას და ციფრულ საშუალებებს ჩართულობის გასაზრდელად. შედეგად „FEMEN"-ი ორგანიზაციის სახით ჩამოყალიბებულია ევროპის წამყვან ქვეყნებში. აღსანიშნავია მოძრაობა „SlutWalk", რომლის ფარგლებშიც აქტივისტები საპროტესტო აქციებისას და მსვლელობებისას აქტიურად იყენებენ სხეულის დემონსტრირებას. მსვლელობებისას „SlutWalk"-ის აქტივისტები აპროტესტებენ ორმაგ სტანდარტებს, რომელიც საშუალებას აძლევს მამაკაცებს სტიგმის გარეშე იყვნენ სექსუალურად თავდაჯერებულები, ხოლო იგივე ქმედებისთვის კიცხავენ ქალებს. სოციოლოგი ჟაკი ტრუ, შიშველ პროტესტს შეისწავლის, როგორც ფემინისტური აქტივიზმის ფორმას, რასაც აიგივებს პოლიტიკურ იარაღთან, რომლის შესწავლის საფუძველზეც შესაძლებელია ნათელი მოეფინოს თუ რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს სხეულს, როგორც პროტესტის რეპერტუარს და როგორ შეიძლება გამოიყენებოდეს იგი წინააღმდეგობის გასაწევად (True, 2012).

თემის აქტუალობიდან გამომდინარე, **კვლევის მიზანია** გავაანალიზოთ პროტესტის რეპერტუარში ადამიანის სხეულის მნიშვნელობა და დატვირთვა. მიზნებიდან გამომდინარეობს შემდეგი **ამოცანები:** 1) შევისწავლოთ შიშველი სხეულის პროტესტის პრაქტიკა სხვადასხვა ქვეყნებში. 2) დავამუშავოთ აქტივისტების ინტერვიუები, რომლებიც იყენებენ სხეულს, როგორც პროტესტის რეპერტუარს. 3) გავაანალიზოთ იმ მოძრაობების სტრატეგიები, რომელებიც უშუალოდ შეიქმნა, რათა გამოიყენონ შიშველი სხეული პროტესტისთვის.

კვლევის პროცესში **კვლევის ობიექტები** არიან ერთის მხრივ, აქტივისტები, რომლებიც მიმართავენ პროტესტისას სხეულის დემონსტრირებას მათ მიერ ორგანიზებული აქციებში, და მეორე მხრივ - იმ ორგანიზაციებისა და მოძრაობების წევრები, რომლებიც აქტიურად აორგანიზებენ საპროტესტო მსვლელობებს.

კვლევის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე განისაზღვრა შემდეგი **საკვლევი კითხვები:**

1. რა გავლენას ახდენს პროტესტებში სხეულის რეპერტუარის გამოყენება?
2. რამდენად განსაზღვრავს პროტესტისას შიშველი სხეულის დემონსტრირება პროტესტის სიმწვავეს?

შესაბამისად, გამოიკვეთა **ჰიპოთეზებიც:**

1. პროტესტში სხეულის რეპერტუარის გამოყენება იქცევს დიდ ყურადღებას, რაც თავის მხრივ აისახება პროტესტის მასშტაბურობაზე.
2. პროტესტისას შიშველი სხეულის დემონსტრირება დიდ გავლენას ახდენს პროტესტის სიმწვავეზე, თუმცა რიგ შემთხვევებში აკნინებს პროტესტის მესიჯს და დატვირთვას.

საკითხის სიღრმისეულად შესასწავლად მოვახდინეთ **კონცეპტუალიზაცია,** რომლის მიხედვითაც სხეული, როგორც პროტეტსის რეპერტუარი, გულისხმობს პროტესტისას უშუალოდ ადამიანის ფიზიკური სხეულის გამოყენებას. შესაბამისად, ტერმინი აიხსნება, როგორც პროტესტის შინაარსობრივი დატვირთვის გადატანა ადამიანის ფიზიკურ სხეულზე. ასევე მოვახდინეთ **ოპერაციონალიზაცია,** სხეულის, როგორც პროტესტის რეპერტუარის ინდიკატორად შეგვიძლია მოვიაზროთ ისეთი

ქმედებები, როგორიც არის პირის ამოკერვა, გაშიშვლება, შიშველ სხეულზე საპროტესტო წარწერების დატანა, ცეკვა, პროტესტის მიზნით თვითდაზიანება და ა.შ.

ნაშრომის **თეორიული ჩარჩო** ძირითად ეყრდნობა ჩარლზ ტილის პროტესტის რეპერტუარის თეორიას, რომელიც უშუალოდ გულისხმობს ქმედებებისა და ინსტრუმენტების ერთობლიობას, რომლებსაც სხვადასხვა საპროტესტო მოძრაობები და ორგანიზაციები იყენებენ. რეპერტუარები ხშირად ვრცელდება სხვადასხვა აქტორებს შორის, ანუ თუ ერთი ჯგუფი თვლის, რომ კონკრეტული ინსტრუმენტი წარმატებულია, იგი ვრცელდება სხვა ჯგუფებშიც. თუმცა რეპერტუარები ასევე შეიძლება განვიხილოთ შემზღუდავად, ვინაიდან ხშირად ადამიანები ფოკუსირებულები არიან აწ უკვე ნაცად მეთოდებზე და ინსტრუმენტებზე, ინოვაციები კი უგულვებელყოფილი რჩება.

რაც შეეხება **მეთოდოლოგიას,** კვლევისას გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგია, რომლის ფარგლებშიც მივმართეთ რამოდენიმე ტექნიკას. მათ შორის, სიღრმისეულ ინტერვიუს, რომელიც დაგვეხმარა გაგვეანალიზებინა აქტივისტებისა და ორგანიზაციების წარმომადგენელთა დამოკიდებულება. კვლევის ფარგლებში ჩავატარეთ შვიდი სიღრმისეული ინტერვიუ ინგლისურ ენაზე, რომელთაგანაც სამი ჩატარდა „ფემენის“ შვედ, გერმანელ და ირანელ აქტივისტებთან, ოთხი კი - „სლათვოქის“ ებრაელ, ამერიკელ და ავსტრიელ აქტივისტებთან. ასევე, შევისწავლეთ უკვე ჩატარებული კვლევები არსებული პრაქტიკის გასაანალიზებლად. **შერჩევისას** კი მივმართეთ არა ალბათურ მიზნობრივ შერჩევას, ვინაიდან კვლევის ობიექტებად შეირჩნენ იმ ორგანიზაციების და მოძრაობების აქტივისტები, რომლებიც ჩართულნი არიან შიშველი სხეულების პროტესტების ორგანიზებაში.

გამოყენებული ლიტერატურა: კვლევის პროცესში რამდენიმე ნაშრომი განსაკუთრებულად სასარგებლო აღმოჩნდა ინფორმაციულობის კუთხით. უპირველესად, გამოვარჩევდი ჰენკ ჯონსტონისა და ბერტ კლადერმანსის ნაშრომს „სოციალური მოძრაობები და კულტურა“ (1995). წიგნი გვთვაზობს კარგ ანალიზსს თუ რა გავლენას ახდენს კულტურული კონტექსტი სოციალურ მოძრაობებსა და პროტესტის რეპერტუარის ფორმირებაზე. ასევე, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ემა ბლეიკმორის ნაშრომი „როგორ აყალიბებს სხეული სოციალურ პროტესტს“ (2015),

რომელიც ყურადღებას ამახვილებს პროტესტებისას სხეულის, როგორც სიმბოლური ინსტრუმენტის გამოყენების მნიშვნელობაზე. კვლევისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია პულომი სულთანას ნაშრომი „სიშიშვლე და წინააღმდეგობა: ქალების შიშველი პროტესტის გაგება“ (2015), რომელიც იკვლევს შიშველი სხეულით პროტესტის მიზეზებსა და მიზნებს.

კვლევის ლიმიტი: კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა მხოლოდ „FEMEN”-ის და „SlutWalk”-ის სტრატეგია და პრაქტიკა, ასევე მხოლოდ ზემოთ ხსენებული ორგანიზაციების აქტივისტების გამოცდილება.

ნაშრომი შედგება **სამი თავისგან**. პირველი თავში ყურადღება გამახვილებულია სხეულის, როგორც პროტესტის რეპერტუარის აღქმაზე და უშუალოდ თეორიულ ასპექტებზე. მეორე თავში განხილულია ორი მოძრაობის „FEMEN”-ის და „SlutWalk”-ის სტრატეგია და საპროტესტო ტაქტიკა, ასევე მათი გამოცდილება სხეულის სხვადასხვაგვარი დემონსტრაციების გათვალისწინებით. ბოლო, მესამე თავი კი დაეთმობა ორი მოძრაობის „FEMEN”-ის და „SlutWalk”-ის შედარებით ანალიზს.

თავი 1. პროტესტი და მისი რეპერტუარი- თეორიული ასპექტები

დღესდღეობით ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალება ცვლილებების მოთხოვნის და ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი კრიტიკული პოზიციის დაფიქსირების კუთხით არის საპროტესტო მოძრაობების ფორმირება. საპროტესტო მოძრაობები გვევლინება ჯგუფების სახით, თუმცა ცვლილებების მოთხოვნა შესაძლებელია ინდივიდუალურ დონეზეც, რასაც ადასტურებს არსებული პრაქტიკა. ოცდამეერთე საუკუნეში საგრძნობლად არის საპროტესტო მოძრაობების რიცხვი გაზრდილი, შესაბამისად, იზრდება უშუალოდ საპროტესტო აქციების, დემონსტრაციებისა და პერფორმანსების რაოდენობაც. აღნიშნულს იწვევს იმ ჯგუფების უფლებების აღიარება, რომლებსაც საუკუნეების მანძილზე არა თუ პროტესტის, არამედ ელემენტარული ხმის მიცემის უფლებაც კი არ ჰქონდათ. ამ ჯგუფებს მიეკუთვნებიან ქალები, შავკანიანები, სხვადასხვა უმცირესობები და ა.შ. (Taylor, 2021). საპროტესტო მოძრაობები ყალიბდება სხვადასხვა საკითხის გარშემო, რაც მეტწილად არის დამოკიდებული სოციალურ და პოლიტიკური კონტექსტზე, ასევე აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ კულტურული დიფერენციაციებიც, შედეგად კი თითოეულ საპროტესტო მოძრაობას საკუთარი დამახასიათებელი და მაიდენტიფიცირებელი ნიშნები გააჩნია.

ამ საკითხზე საუბრისას, აუცილებლად უნდა გამახვილდეს ყურადღება ჩარლზ ტილის მიერ შემოთავაზებულ პროტესტის რეპერტუარის კონცეფციაზე. ტილის მიხედვით, პროტესტის რეპერტუარი არის კონკრეტული საპროტესტო მოძრაობისთვის დამახასიათებელი ტექნიკებისა და სტრატეგიების ერთობლიობა, რომელსაც ეს საპროტესტო მოძრაობები იყენებენ საკუთარი მოთხოვნების გაჟღერების ეფექტურობისათვისა და მათი რეალიზებისთვის (Tilly, 2004). ანუ პროტესტის რეპერტუარი შესაძლოა ჩაითვალოს ერთგვარ ხელსაწყოდ, რომელიც პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაშია საპროტესტო მოძრაობის ეფექტურობასთან იმდენად, რამდენადაც რაც უფრო ეფექტურია პროტესტის რეპერტუარი, მით უფრო წარმატებულია საპროტესტო კამპანია და უფრო შედეგიანიც.

პროტესტის რეპერტუარის კონცეფციის ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვის ასევე ტაროუსაც, რომლის მიხედვითაც პროტესტის რეპერტუარი არ არის უცვლელი, სტაგნაციური და სტატიკური ინსტრუმენტი, არამედ იგი არის ცვალებადი და დინამიური, რომელიც რიგ ფაქტორებზეა დამოკიდებული და იცვლება დროდადრო. მან დიდი მნიშვნელობა მიანიჭა პოლიტიკურ და სოციალურ კონტექსტს პროტესტის რეპერტუარის საბოლოოდ ფორმირებაში. გარდა ზემო აღნიშნულისა, საპროტესტო რეპერტუარის ფორმირებაზე ასევე ახდენს გავლენას უშუალოდ კულტურული ფაქტორები, მაგრამ აუცილებად უნდა აღინიშნოს ისიც, თუ რა დიდ გავლენას ახდენს ასევე შიდა ჯგუფური, ორგანიზაციული რესურსების მობილიზება და ეფექტურად განკარგვა. აქ იგულისხმება, როგორც ადამიანური რესურსის, ასევე ორგანიზაციული რესურსის გათვალისწინება, რაზეც დიდწილად არის დამოკიდებული საპროტესტო მოძრაობებების წარმატება.

ტაროუმ მოახდინა პროტესტის რეპერტუარის ერთგვარი კლასიფიკაცია და გამოყო ძირითადად სამი სახის რეპერტუარი: მარტივი/ჩვეულებრივი, რუტინიზირებული და ინოვაციური. მიუხედავად იმისა, რომ ტაროუს აზრით, ყურადღებას ყველაზე მეტად ინოვაციური რეპერტუარები იქცევენ, აღსანიშნავია, რომ ყველაზე დიდი ეფექტი აქვს ამ სამივე კატეგორიის ერთობლივად გამოყენებას (Tarrow, 2011). ტაროუ ზემოაღნიშნულის საილუსტრაციო სურათსაც იძლევა, რომლის მიხედვითაც, ის საპროტესტო მოძრაობები, რომლებიც უფრო მეტად მშვიდობიან და ჰუმანურ გზებს ირჩევენ მოთხოვნების წამოსაყენებლად და ნაბიჯ-ნაბიჯ არიან ცვლილებების მომხრე, ხასიათდებიან მშვიდობიანი აქციებით და არაძალადობრივი დემონსრაციებით. თუმცა, ისეთ მოძრაობებს, რომლებიც სამხედრო დაჯგუფების მოდელს შეესაბამებიან, უფრო მეტად კონფრონტაციუილი პრაქტიკა ახასიათებთ.

საპროტესტო მოძრაობებისა და პროტესტის რეპერტუარის კვლევაში დიდი წვლილი შეიტანა სტენფორდის უნივერსიტეტის ლექტორმა, სოციოლოგმა დუგ მაკადამმა. მაკადამის მიხედვით, ინოვაციური საპროტესტო მოძრაობები ჩნდება მაშინ, როდესაც საპროტესტო მოძრაობებში გადომინირებას იწყებს ერთგვარი ნიჰილისტური მიდგომა იმის შესახებ, რომ მათი ტრადიციული მიდგომები მოძრაობის მიერ წამოყენებულ მოთხოვნებზე დიდ რეაგირებას აღარ იწვევს, მით უმეტეს, არ იწვევს

არანაირ ცვლილებასა და შედეგს. ზემო აღნიშულთან მიმართებაში, იგი ასევე გვთავაზობს რამდენიმე ეფექტურ ტაქტიკას, რომელთა შორისაც ვხვდებით ფართომასშტაბიან დემონსტრაციებს, ბოიკოტებსა და სამოქალაქო დაუმორჩილებლობას. ეს ტაქტიკები ერთის მხრივ, არის გარანტია, რომ საპროტესტო მოძრაობები დაარღვევენ სტატუს ქვოს და მიიბყრობენ დიდ ყურადღებას, რასაც მოსდევს პრობლემის დღის წესრიგში დაყენება და შემდგომში მასზე რეაგირება (MacAdam, 1999).

მიუხედავად იმისა, რომ მკვლევართა ერთი ნაწილისთვის ინოვაციურ რეპერტუარად ითვლება სამოქალაქო დაუმორჩილებლობა, ბოიკოტები და ა.შ. არსებობს მკვლევართა მეორე ნაწილი, რომლებიც ზემო აღნიშულ რეპერტუარს ტრადიციულ რეპერტუარად მოიხსენიებენ და გვთავაზობენ უფრო არატრადიციულ მეთოდებს რეპერტუარის ფორმირებისათვის. სწორედ ამ მკვლევართა კატეგორიას მიეკუთვნება ტივ რიდი, რომელმაც შეისწავლა საპროტესტო მოძრაობებთან მიმართებით კულტურისა და ხელოვნების გამოყენება პროტესტის რეპერტუარად. რიდმა გააანალიზა ავსტრალიის კონტექსტი და მივიდა დასკვნამდე, რომ ავსტრალიაში დაწყებული სამოქალაქო უფლებებისთვის ბრძოლიდან, დამთავრებული 1999 წელს სიეტლში მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წინააღმდეგ ჩატარებული საპროტესტო აქციებით დიდი როლი ეთმობოდა კულტურისა და ხელოვნების ელემენტების გამოყენებას, ცენტრალური ხელისუფლებისათვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში, დაბრკოლებების შექმნაში. მისთვის მხოლოდ კულტურა და ხელოვნება არ კმარა იმდენად, რამდენადაც კრეატიულობა უნდა იყოს საპროტესტო მოძრაობებისთვის აუცილებელი დამახასიათებელი ნიშანი, რამეთუ სწორედ ეს განსაზღვრავს ისეთი პროტესტის რეპერტუარის ფორმირებას, რომელიც საბოლოოდ წარმატებას და ცვლილებას მოიტანს. კულტურული კონტექსტის, ხელოვნების ელემენტებისა და კრეატიულობის აუცილებლობის მთავარი მოტივი რიდისთვის არის ე.წ. „ჯაჭვური ეფექტის“ შექმნა. სწორედ ზემო აღნიშული ფაქტორების გამოყენებით ინტერესდება ხალხი კონკრეტული საკითხით, რაც ერთგვარად იწვევს მათ შთაგონებას და უზრუნველყობს ჩართულობას პროცესებში, რაც შესაბამისად ზრდის თვალსაჩინოების დონეს და სახელმწიფო სტრუქტურებამდე მიღწევაში ეხმარება

კონკრეტულ მოძრაობას (Reed, 2019). ამ საკითხზე, გარდა რიდისა, საუბრობენ ტაროუ და ტილი თავიანთ ერთობლივ ნაშრომში. მათ გამოყვეს ერთ-ერთი მთვარი ფაქტორი, რაზეც რიდმა არ გაამახვილა ყურადღება, ეს მედის ყურადღების მიპყრობაა, რაშიც სწორედ კრეატიულობა ეხმარება საპროტესტო მოძრაობებს. ასევე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სწორედ მედიის და ფართო მასების დაინტერესება იწვევს პროტესტის რეპერტუარის ეფეტურობას, რაც ხელს უწყობს ამ რეპერტუარის გადადინებას სხვა მოძრაობებში და გრძელდება ასე ჯაჭვურად იქმადე, სანამ სხვა უფრო კრეატიული და ინოვაციური რეპერტუარი არ ჩაანაცვლებს მას (Tilly & Tarrow, 2015). თუმცა, კვლავ აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ რეპერტუარის გადადინება ერთი მოძრაობიდან მეორეში დამოკიდებულია იმ პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ კონტექსტებზე, სადაც ყალიბდება და ვითრდება ესა თუ ის საპორტეტო მოძრაობა.

პროტეტსის რეპერტუარის ეფექტურობა ასევე დამოკიდებულია საპროტეტსო მოძრაობის ფორმირებისას არსებულ კოლექტიური იდენტობის გრძნობის ხარისხზე. მოძრაობის წევრები უმეტეს შემთხვევაში იზიარებენ საერთო იდენტობას, კონკრეტული საკითხებისადმი გააჩნიათ ერთნაირი აზრი, ასევე აქვთ გარკვეულწილად ერთნაირი ღირებულებათა სისტემა, რაც ავითარებს შიდაჯგუფურ თანხმობას და აადვილებს კომპრომისს. ეს კი ხელს უწყობს საერთო ხედვებზე დაფუძვნებულ საპროტეტო რეპერტუარის ფორმირებას. ამის საილუსტრაციოდ კვლავ გამოდგება დუგ მაკადამის მიერ შემოთავაზებული მაგალითი მშვიდობიანი საპროტესტო მოძრაობებისა და სამხედრო ელემენტების მქონე მოძრაობების შესახებ. ამ მიდგომისგან განსხვავებულ მოსაზრებას გვთავაზობს ერიკ ერიქსონი. იგი აყალიბებს მიდგომას, რომლის მიხედვითაც საპროტესტო მოძრაობები, უხეშად რომ ვთქვათ, არ „შთანთქავენ“ ინდივიდუალიზმს, არამედ სწორედ აქ ეძლევათ ადამიანებს საშუალება, გამოავლინონ საკუთრი ინდივიდუალური იდენტობა, თუმცდა იგი არ უნდა მოდიოდეს კოლექტიურ იდენტობასთან წინააღმდეგობაში. ეს მიდგომა, ერთი შეხედვით, ამწვავებს ჯგუფში ატომიზაციის, მაგრამ რეალურად ინდივიდუალურ იდენტობათა სიმბიოზი ეხმარება კოლექტიური იდენტობის ფორმირებას, რაც არის ჯგუფის მობილიზაციის მთავარი ძალა (Erikson, 1994). კვლევის ფარგლებში და კოლექტიური იდენტობის ფორმირების პროცესში, ასევე ძალიან მნიშვნელოვანი და საგულისხმო ნაშრომია ჰენკ ჯონსტონის

და ბერტ კლადერმანსის ერთობლივი კვლევა „სოციალური მოძრაობები და კულტურა“. ავტორების მიხედვით, სიმბოლიზმი, რიტუალები და კულტურული განსხვავებულობა არის ის ძირითადი ელემენტები, რომლებიც დიდ როლს თამაშობენ პროტესტის რეპერტუარის ჩამოყალიბების დროს, ასევე კოლექტიური იდენტობის ფორმირების პროცესშიც. ტაროუს მსგავსად, ავტორები ნაშრომში აღნიშნავენ, რომ პროტესტის რეპერტუარის ფორმირება დინამიური პროცესია (Johnston & Klandermans, 1995). ნაშრომში ასევე მიმოხილულია, თუ როგორ ურთიერთქმედებენ კულტურული და პოლიტიკური კონტექსტები და რა გავლენას ახდენენ ერთმანეთზე. ამავე კვლევის მიხედვით, კულტურული ელემენტები არ არის უბრალოდ ფორმირებადი და სტატიკური, არამედ მათ აფორმირებს ის პოლიტიკური და სოციალური კონტექსტი, რომელშიც ხდება მათი გამოყენება, ასეა სიმბოლოების შემთხვევაშიც. შესაბამისად, პროტესტის რეპრტუარის ფორმირების პროცესი უნდა დავინახოთ ფართო არეალიდან, რომელიც ითვალისწინებს კულტურულ, სოციალურ და პოლიტიკურ კონტექსტს და ყურადღება არ უნდა გამახვილდეს მხოლოდ ზედაპირულ მახასიათებლებზე.

საბოლოოდ, უნდა აღინიშნოს ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ეფექტური პროტესტის რეპერტუარის ფორმირების პროცესზე. ამ ფაქტორებზე კვლავ ტილი საუბრობს და ერთგვარად აჯამებს პროტესტის რეპერტუარის „წარმატების ფორმულას“. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს პროტესტის რეპერტუარის ფორმირებაზე, უმეტესწილად კი იმაზე, თუ რამდენად მწვავე ხასიათს მიიღებს რეპერტუარი, არის ხელისუფლების მხრიდან წამოსული რეპრესიები, რომლებიც კონკრეტული საპროტესტო რეპერტუარის მქონე ჯგუფზე ვრცელდება. რაც უფრო მძიმეა რეპრესიები, მით უფრო სასტიკია რეპერტუარი და საპროტესტო პრაქტიკა. ჯგუფურ დონეზე ასევე ძალიან მნიშვნელოვანია პროტესტის მონაწილეებს შორის მაღალი სოციალური კაპიტალი, რაც უზრუნველყოფს ეფექტურ ურთიერთთანამშრომლობის უნარს, აისახება ორგანიზაციულობის ხარისხზეც და ერთობლივ მოქმედებას მეტად შედეგიანს ხდის. და ბოლოს, პროტესტის რეპერტუარის ეფექტურობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად იზიარებენ სხვა საპროტესტო მოძრაობები რეპერტუარს და რამდენად უჭერენ მას მხარს. ამ ფაქტორების

ერთობლიობა უზრუნველყოფს წარმატებული და შედეგის მომტანი პროტესტის რეპერტუარის არსებობას (Tilly, 1978).

1.1 სხეული, როგორც პროტესტის რეპერტუარი

როგორც უკვე ვახსენეთ, პროტესტის რეპერტუარი არის ერთგვარი ინსტრუმენტი, რომელსაც იყენებს საპროტესტო მოძრაობა საკუთრი მიზნის მისაღწევად. იგი ყალიბდება მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით, მათ შორის კი სოციალური, პოლიტიკური და კულტურული კონტექსტი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. წინამდებარე თავში ძირითადად მიმოვიხილეთ, თუ რა არის პროტესტის რეპერტუარი სხვადასხვა მკვლევარის თვალსაზრისით. ასევე მიმოვიხილეთ პროტესტის ტრადიციული რეპერტუარები, როგორიცაა: გაფიცვა, მსვლელობა და ა.შ. ნაშრომის ამ ნაწილში კი ყურადღება უფრო მეტად გამახვილდება უშუალოდ ადამიანის ფიზიკურ სხეულზე, როგორც პროტესტის რეპერტუარზე. ამ თემის შესწავლა დაიწყო გუდვინმა, რომლის აზრით, რამდენიმე სახე შეიძლება მიეცეს სხეულის გამოყენებას, როგორც პროტესტის რეპერტუარს. უპირველესად, ეს არის სხეულის, როგორც ობიექტის უნარი შექმნას სხვადასხვხა სახის ფიზიკური დაბრკოლებები. ამის თვალსაჩინო მაგალითია მჯდომარე აქცია და მასოვრივი დემონსტრაციები. მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი არის სიმბოლოების გამოყენება სხეულთან მიმართებაში, რაც ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა პოლიტიკური მესიჯების გასაგზავნად. ამ ტაქტიკას მიეკუთვნება ცეკვა, პერფორმანსი და უკიდურეს შემთხვევაში, თვითდაზიანებაც კი. და ბოლოს, მესამე - ეს არის სხეულის გამოყენება კოლექტიური იდენტობის ფორმირების კუთხით. გუდვინის მიხედვით, სწორედ სხეულის გამოყენების პრაქტიკაა ერთდროულად ყველაზე ინდივიდუალისტური და ყველაზე კოლექტიურიც კი. ეს კი აიხსნება კოლექტიურობის შემთხვევაში მასობრივი მობილიზაციის მხრივ, ინდივიდუალისტურ შემთხვევაში კი სხეულის, როგორც კონკრეტული ინდივიდის საკუთრების გამოყენების კუთხით (Goodwin, 2002).

ზემოხსენებული მაგალითები, თუ როგორ გამოიყენება პროტესტის რეპერტუარად სხეული, არ ამოწურავს საკითხს და ტოვებს სიცარიელეს იმდენად, რამდენადაც ყურადღებას არ ამახვილებს მრავალ მნიშვნელოვან ფაქტორზე. შვედი

სოციოლოგი დონ კულიკი აღნიშავს, „სხეულზე არსებულ სიმბოლოებს აქვს უდიდესი მნიშვნელობა, ვინაიდან სწორედ ასე გამოხატავენ საპროტესტო მოძრაობის წევრები თავიანთ იდენტობას" (Kulick, 1998). მეტად ნათელი რომ იყოს რა იგულისხმება აღნიშნულში, აუცილებლად უნდა განვმარტოთ ავტორინს მიხედვით, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს სხეულთან მიმართებაში არსებულ სიმბოლოებად. უპირველესად, ეს შეიძლება იყოს ერთი ფერის ტანსაცმლის ტარება, ასევე ერთნაირი წარწერების დატანა სხეულზე, ან თუნდაც ბანერზე. სწორედ აღნიშულ ქმედებათა ერთობლიობით, დიდი დატვირთვა ენიჭება კოლექტიურობის გრძნობას, რაც კონკრეტული იდეის გარშემო უფრო მეტად აერთიანებს საპროტესტო მოძრაობაში ჩართულ პირებს და ხელს უწყობს კოლექტიური იდენტობის ფორმირებას. ტილი კოლექტიური იდენტობის ფორმიერების მნიშვნელობაზე დასძენს, რომ ხშირ შემთხვევაში, როდესაც კონკრეტული საკითხის გარშემო არსებობს მაღალი კოლექტიური გრძნობა, უფრო დიდი შანსია იმისა, რომ საკითხი მალე გადაიჭრას და კონკრეტული სტრუქტურების მხრიდან მალევე მოხდეს რეაგირება. თუმცა, არ უნდა მივიჩნიოთ კოლექტიური იდენტობის სიდიდის განმსაზღვრელ ფაქტორად უშუალოდ რაოდენობრივი თვალსაზრისი. აღსანიშნავია, რომ კოლექტიური იდენტობის გრძნობა დამოკიდებულია ჯგუფს შიგნით მოღვაწე ინდივიდებს შორის არსებულ საერთო მიზანსწრაფვაზე და მაღალ სოციალურ კაპიტალზე (Tilly, 1978).

საპროტესტო რეპერტუარად სხეულის გამოყენება ხშირად არის ფემინისტური მოძრაობების მიერ არჩეული სტრატეგია. მიუხედავად ზემოაღნიშულისა, რომ სხეულის გამოყენება დიდ როლს თამაშობს კოლექტიური იდენტობის ფორმირებაში, ფემინისტური საპროტესტო მოძრაობები ყურადღებას ამახვილებენ უშუალოდ სტიგმებსა და ტაბუებზე, რომლის გავლენის ქვეშაც საზოგადოება აქცევს ქალის სხეულს. ქალები, რომლებიც არიან ძალადობის მსხვერპლნი, ხშირ შემთხვევაში მიმარათვენ დაზიანებული სხეულების დემონსტრირებას და არ მალავენ ძალადობის კვალს, არამედ სააშკარაოზე გამოაქვთ იგი და ცდილობენ ამით გააპროტესტოს ქალების მიმართ ფიზიკური ძალადობა, რომლის მეშვეობითაც ისინი ხაზს უსვამენ საკუთრ უფლებებს და ხელშეუხებლობას (Sutton, 2010). ხშირ შემთხვევაში ასეთ სახის

საპროტესტო რეპერტუარი, უშუალოდ არის სხეულის დემონსტრირებაზე, როგორც ძალადობის რეალურად არსებულ მაგალითზე დაფუძნებული. ასეთი რეპერტუარი იღებს ჯაჭვურ ხასიათს და ფიზიკური ძალადობის მსხვერპლ სხვა ქალებსაც აძლევს საშუალებას გამოვიდნენ მოძალადეების წინააღმდეგ და გააპროტესტონ ქალის, როგორც საკუთრების აღქმის პრაქტიკა. ეს ასევე უწყობს ხელს კოლექტიური იდენტობის გრძნობის გაღვიძებას მსხვერპლ ქალებს შორის, სწორედ ამიტომ აღნიშული იღებს ხშირ შემთვევაში ჯაჭვურ ხასიათს და დიდ მასშტაბებს აღწევს.

როგორც უკვე აღინიშნა, ქალების სხეული ექცევა სოციალურად კონსტრუირებული სტიგმების გავლენის ქვეშ. პრაქტიკაში ხშირად ვხვდებით დაუწერელ წესებს, თუ როგორ უნდა ეცვას ქალს, როგორ არ უნდა გამოაჩინონ მათ მკერდი, თუმცა იგივეს გაკეთება მამაკაცს ყოველგვარი აკრძალვის გარეშე შეუძლია. ეს უკანასკნელი, არათუ მხოლოდ დაუწერელი კანონია, არამედ ბევრ არადასავლურ ქვეყანაში ქალის სხეულის დემონსტრირებისთვის უმძიმესი სასჯელებიც არსებობს, უკიდურეს შემთვევაში კი სიკვდილით სადჯაც კი. სწორედ ისლამისტურ ქვეყნებში, სადაც უდიდესი ყურადღება ექცევა ქალის შემოსვას ჰიჯაბით, ბურქათი და ა.შ. ისლამისტური რეჟიმის წინააღმდეგ საპროტესოდ იყენებენ ისეთ რეპერტუარს, რომელიც უშუალოდ რელიგიური მოტივით შემოსილი ქალების გამოსვლას და სიმბოლურ დემონსტრაციას უკავშირდება, მაგალითად ჰიჯაბის მოხსნას. თუმცა, აღნიშნული რეპერტუარი ხშირ შემთვევაში რადიკალურ სახესაც იღებს და შიშველი სხეულების პროტესტადაც გვევლინება, რომელიც, როგორც დასავლურ, ისე არადასავლურ სამყაროში, აქტიურად გამოიყენება პროტესტის რეპერტუარად. სიშიშვლეს მრავალმხრივი მნიშვნელობა ენიჭება კონტექსტიდან და ისტორიული ფონიდან გამომდინარე (Bordo, 1999). შემდეგ თავში მიმოვიხილავთ შიშველ სხეულს, როგორც პროტესტის რეპერტუარს და პოლიტიკურ იარაღს რელევანტური მაგალითების მეშვეობით.

თავი 2. შიშველი სხეული, როგორც საპროტესტო ინსტრუმენტი- „FEMEN"-ისა და „SlutWalk"-ის მაგალითზე

როგორც წინა თავში აღინიშნა, პროტესტის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი და ტექნიკა ეს არის შიშველი სხეულით პროტესტი. ამ სახის პროტესტს აქტიურად იყენებენ სხვადასხვა მოძრაობები, მაგრამ ნაშრომის ფარგლებში გავამახვილებთ ყურადღებას ორ მოძრაობაზე, რომლის ფარგლებშიც ყველაზე აქტიურად ხდება აღნიშული ტექნიკის გამოყენება, თუმცა განსხვავებული დანიშნულებით. გასაკვირი არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ სიშიშვლეს სხვადასხვა შინაარსი ეძლევა კონტექსტის, დროის, ადგილისა და ისტორიული ფონის შესაბამისად, თუმცა მისი შინაარსი დიდწილად მაინც არის კონკრეტულ მომენტში კონკრეტულ სიტუაციაზე დამოკიდებული. დიდი ყურადღება მახვილდება იმაზე, თუ ვინ იხდის პროტესტისას ტანსაცმელს და რა კონტექსტში ხდება აღნიშული ქმედება. მით უმეტეს უფრო დელიკატური ხდება საკითხი, როდესაც საქმე ქალის სხეულს ეხება. ქალის სხეული თითქმის ყველა საზოგადოებაში და ცხოვრების სფეროში სექსუალიზირებული და ტაბუირებულია. სწორედ ამიტომ, შიშველი სხეულით პროტესტი ერთგვარი „შოკური თერაპიაა" პატრიარქატულ საზოგადოებაში, სადაც ჩვენ ყველას გვიწევს ცხოვრება (Sultana, 2015).

ხშირ შემთხვევაში შიშველი სხეულებით პროტესტს განიხილავენ პროტესტის რადიკალურ ფორმადაც, თუმცა აქტივისტებთან ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუების მიხედვით რადიკალური არაფერია იმაში, რაც ადამიანს ბუნებრივად აქვს. სოციალურად კონსტრუირებული შეხედულებები ქალის სხეულთან დაკავშირებით არის პატრიარქატის და კაცების ერთგვარი იარაღი კვლავ „სექსუალურ მონობაში" ამყოფონ ქალები, მოახდინონ მათი ექსპლუატაცია და შეუზღუდონ ის თავისუფლება, რომელიც ქალებს დაბადებიდანვე გააჩნიათ. ასევე აქ შემოდის მნიშვნელოვანი საკითხი, *„თუ კაცებს შეუძლიათ ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე იყვნენ საზოგადოებრივ ადგილებში წელს ზემოთ შიშვლები და ეს იმდენად არის ნორმალიზებული, რომ ნებისმიერი ადამიანს დედამიწაზე კაცის წელს ზემოთ სიშიშვლე ბუნებრივად მიაჩნია, რატომ უნდა გვრცხვენოდეს იგივეს გამო ქალებს? ეს უბრალოდ ალოგიკური და არარეალურია."* (სიღრმისეული ინტერვიუ "FEMEN"-ის

აქტივისტთან. 09.05.23). აუცილებლად გასათვალისწინებელია ისიც, რომ ხშირ შემთვევაში ქალების სიშიშვლე კანონით აკრძალულია, ეს ძირითადად ეხება ისლამისტურ რეჟიმებს და არა დასავლურ ქვეყნებს, თუმცა ეს პრაქტიკა დასავლეთშიც არსებობდა, *„ადრე უფრო ხშირად გვიჭერდნენ სიშიშვლისთვის, დღეს გერმანიაში კი ქალის შიშველი მკერდი უფრო ნორმალიზდება“* (სიღრმისეული ინტერვიუ „ფემენ“- გერმანიის დამფუძვნებელთან. 19.05.23). ყველა აქტივისტი, რომელთანაც ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუ, აღნიშნავს, რომ მათ საჯარო თავშეყრის ადგილებში სიშიშვლის გამო სასამართლო აკისრებდა ჯარიმას, თუმცა ეს ასე არ იქნებოდა, მათ ნაცვლად წელს ზევით კაცს რომ გაეხადა და ე.წ. „ტოპლეს“ აქტივიზმისთვის მიემართა. სწორედ ამ ძირითადი მიზეზის გამო ქალები ხშირად იყენებენ სიშიშვლეს პროტესტის რეპერტუარად იმდენად, რამდენადაც სწორედ ამგვარი პროტესტი იქცევს დიდ ყურადღებას, როგორც მედიის ასევე საზოგადოების მხრიდან.

საპროტესტო მოძრაობებს ასეთი რადიკალური პროტესტის შედეგად ეძლევათ საშუალება ფართო მასებთან უფრო ეფექტურად მიიტანონ ის მესიჯები, რა მესიჯებიც მათ გააჩნიათ. მიუხედავად იმისა, რომ შიშველი სხეულით პროტესტი ძირითდად ფემინისტურ მოძრაობებს ახასიათებთ, მოთხოვნები არ არის მხოლოდ ქალთა უფლებების სპექტრით მოცული, არამედ უკავშირდება გარემოს დაცვით, სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხების. შესაბამისად, ეს არ არის ვიწრო „პრო-ქალური“ აქტივიზმის ფორმა, არამედ ეს არის პროტესტი, რომელიც ეხება სხვადასხვა საკითხებს და აქვს ფართო სპექტრი *„ჩვენი პროტესტი თითქმის ყველა სფეროს ეხება, დაწყებული რელიგიიდან დამთავრებული გარემოს დაცვით“* (სიღრმისეული ინტერვიუ „ფემენ“- შვედეთის დამფუძვნებელთან. 17.05.23). აუცილებლად უნდა გამახვილდეს ყურადღება იმ გამოწვევებზეც, რომელსაც აწყდებიან აქტივისტები. აქედან ერთ-ერთი უდიდესი დაბრკოლება არის ის, რომ როგორც დასავლურ, ისე არადასავლურ ქვეყნებში ვხვდებით ერთგვარ პარადოქსს, რომლის მიხედვითაც პროტესტისას გაშიშვლება ხშირ შემთვევაში ქალს ისევ სექსუალიზირებულ ობიექტად აქცევს და საზოგადოების მხრიდან ხდება აწ უკვე არსებული და მყარად გამჯდარი სტიგმებიდან და ტაბუებიდან გამომდინარე აქტივისტების გაკიცხვა, რაც თავის მხრივ ასევე დიდ როლს ასრულებს იმაში, რომ ხშირ შემთვევაში კონკრეტულ მესიჯს

ჩრდილავს უშუალოდ სიშიშვლე. აღნიშნული ხშირ შემთხვევაში მიმართულია აქტივისტების დისკრედიტაციისკენ და შესაბამისად, ხდება იმ იდეის და ღირებულებათა სისტემის დისკრედიტაცია, რა მოტივებზეც აღმოცენდება შიშველი პროტესტი, უპირველესად კი ეს არის ფემინისტური ღირებულებები (Sutton, 2007). მიუხედავად დაბრკოლებებისა, საპროტესტო მოძრაობები მაინც აგრძელებენ შიშველი სხეულის პროტესტის რეპერტუარად გამოყენებას, სწორედ ორ ასეთ მოძრაობას „FEMEN"-ს და „SlutWalk"-ს განვიხილავთ ნაშრომის ფარგლებში.

2.1 „FEMEN"-ის სტრატეგია და საპროტესტო პრაქტიკის ანალიზი

ორგანიზაცია "FEMEN" უკრაინაში ჩამოყალიბდა 2008 წელს, თუმცა თავიდანვე სიშიშვლეს, როგორც ტექნიკას არ მიმართავდნენ. ორგანიზაციის მთავარი მიზანი ეს არის პატრიარქატის წინააღმდეგ გამოსვლა და პატრიარქატული სისტემის ნგრევა, რაც ძირითადად სამ მიმართულებაში ვლინდება:

1.სექს ინდუსტრიის წინააღმდეგ ბრძოლა, რომელიც უშუალოდ არის მიმართული იმ შეხედულებების დასანგრევად, რასაც პატრიარქატი აყალიბებს ქალის სხეულის შესახებ. აღნიშნული გაძლიერდა 2012 წელს ურკაინაში ჩატარებული „UEFA EURO"-ს დროს, როდესაც თითქმის ყველა ქალს სექს მუშაკივით ექცეოდნენ (Korshak, 2012). ამასთან დაკავშირებით ფემენმა ასევე გადაიღო ფილმი „უკრაინა არ არის ბორდელი".

2. თეოკრატიის და რელიგიური ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლა. აღნიშნული ორი მიმარულებით მიმდინარეობს: პირველი- უკრაინა მართლმადიდებლური ქვეყანაა, რასაც დიდ ხნის განმავლობაში იყენებდა რუსეთი, შესაბამისად კრემლის პოლიტიკას ფესვები ჰქონდა გადგმული რელიგიური მოტივებით. დღეს ფემენის დღის წესრიგში აქტიურად დგას ისლამურ ფუნდამენტალიზმთან ბრძოლაც. ამ კონტექსტში აუცილებლად აღსანიშნავია ე.წ. „ტოპლეს ჯიჰადის" კამპანია, რომელიც ფემენის ტუნისელი აქტივისტის, ამინას, გოგონას რომელიც თავისმა ოჯახმა მოიტაცა და გადამალა მკერდის გამოჩენის გამო, მხარდასაჭერად მოეწყო.

3. დიქტატურის წინააღმდეგ ბრძოლა. მაშინ, როდესაც „ფემენი" დაარსდა რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი იანუკოვიჩის მეშვეობით ცდილობდა

უკრაინაზე კონტროლის დამყარებას. სწორედ ამ დროს ფემენმა უდიდესი როლი ითამაშა იანუკოვიჩს წინააღმდეგ გამოსვლებში. დღეისთვის კი ფემენი აქტიურად უპირისპირდება მსოფლიოში არსებულ მრავალ დიქტატურულ რეჟიმს როგორც დასავლურ, ისე არა დასავლურ სამყაროში. შესაბამისად ფემენი თავის იდეოლოგიად აცხადებს სექსტრემიზმს, ათეიზმსა და ფემინიზმს (About Us – FEMEN, n.d.)

ბევრი კრიტიკოსი ფემენის პროტესტებს თავიდანვე აფასებდა, როგორც არაორდინალრს. მიუხედავად იმისა, რომ პროტესტი არ დაწყებულა შიშველი სახით, სხეული მაინც დიდ დატვირთვას ასრულებდა მათთვის, *„აქტივისტები ხშირად ვიმოსებოდით ისე, როგორც გავრცელებული შეხედულებით „მეძავები“ იმოსებოდნენ და ვიქცეოდით აგრესიულად, ისე როგორც არსებული სტიგმების მიხედვით ქალი არ უნდა იქცეოდეს“* (ინტერვიუ “FEMEN”- ის აქტივისტთან. 09.05.30). ფემენის დაარსებიდან ერთი წლის შემდეგ ერთ-ერთმა დამფუძვნელებმა ოქსანა ჩაშკომ პროტესტისას მაისური გაიხადა, სწორედ აქედან დაიწყო ფემენისეული შიშველი პროტესტის ფორმირება. ოქსანას ამ ქმედებას დიდი ყურადღება მოჰყვა მედიის მხრიდან, რამაც გამოიწვია შემდგომში ე.წ. „ტოპლეს“ პროტესტსის სტრატეგიად გადაქცევა, რომ რაც შეიძლება დიდ მასამდე ყოფილიყო ფემენის მესიჯის მიტანა შესაძლებელი. თუმცა, ფემენის შიშველმა სხეულის აქტივიზმმა ერთგვარი ევოლუცია გაიარა, რომ მიეღო ის სახე, რა სახეც დღეს აქვს მას. თავდაპირველად ფემენის აქტივისტებს უბრალოდ გახდილი ჰქონდათ სამოსი წელს ზევით და ეჭირათ ბანერები, რომელზეც იყო განთვსებული სხვადასხვა მესიჯი და მიმართვა, მაგრამ ამ სტარტეგიამ არ გაამართლა. ეს იყო შოკური თერაპია იმდენად, რამდენადაც ქალები იყვნენ თითქმის სულ შიშვლები, მაგრამ სწორედ ეს სიშიშვლე ჩრდილავდა ბანერზე განთავსებულ მესიჯს და ყურადღბას უფრო მეტად ამახვილებდა შიშველ სხეულზე. *„სწორედ ამ პრაქტიკის და შედეგის გათვალისწინებით შექმნა ფემენმა არქეტიპი, რომელიც მოიცავდა შიშველ სხეულს და სხეულზე დატანილ მესიჯს. ამ ტექნიკის მეშვეობით ახლა შიშველი სხეული, რომელიც მთელს ყურადღებას იქცევს ატარებს მესიჯებსაც“* (სიღრმისეული ინტერვიუ „FEMEN”-შვედეთის დამაარსებელთან. 17. 05. 23.).

იმის შესახებ საუბრისას, თუ რა დგას ფემენის ე.წ. „ტოპლეს“ პროტესტის უკან, აუცილებელია რამდენიმე ასპექტზე გავამახვილოთ ყურადღება: პირველი, რა თქმა

უნდა, ეს არის უფრო მეტად პრაქტიკული ნაწილი, რომლის მიხედვითაც შიშველი პროტესტი ერთგვარად იწვევს შოკურ ეფექტს და შესაბამისად, იქცევს დიდ ყურადღებასაც. თუმცა, რეალური დატვირთვა შიშველი სხეულის, როგორც პროტესტის რეპერტუარად გამოყენების, უფრო სხვაგვარია და უფრო მეტად ჩადის სიღრმეებში. უპირველესად ეს არის ხაზგასმა ქალის მკერდის ბუნებრიობაზე, რაშიც, აქტივისტთა მოსაზრებით, არაფერია სასირცხვილო *„ეს (სხეული) არის ის რაც გვაქვს ბუნებრივად და ეს არის მოცემულობა, რომელსაც გვერდი არ უნდა ავუაროთ და ამის არ უნდა შეგვრცხვეს"* (სიღრმისეული ინტერვიუს „SlutWalk"- ის აქტივისტთან. 04.05.23).

სწორედ, ქალების მიმართ არსებული სტიგმების და სტერეოტიპების უკუგდებით, ფემენის აქტივისტები ცდილობენ დაიბრუნონ უკან ძალაუფლება, რაც პატრიარქატმა წაართვა მათ. უპირველესად კი ეს არის ძალაუფლება საკუთრ სხეულზე და საკუთარი სხეულის განკარგვა ისე, როგორც სურს მას და არა ისე, როგორც კარნახობს მას კაცებით გადომინირებული საზოგადოება. *„ქალ აქტივისტთა შიშველი სხეული არის ღია და დაუფარავი სიძულვილი პატრიარქატული წესრიგის მიმართ და ქალთა რევოლუციის ახალი ესთეტიკური მხარე"* (სიღრმისეული ინტერვიუს "FEMEN"- გერმანიის დამფუძლებელთან. 19.05.23.). მესამე და ძალიან მნიშვნელოვანი ასპექტი იმისა, თუ რა დგას შიშველი პროტესტის უკან, არის ის, რომ ფემენისთვის ასეთი პროტესტის ასოცირდება მშვიდობიან პროტესტთან. ზოგადად, აქციებისას ხშირია ძალადობრივი ელემენტების გამოყენება, ტანსაცმლის შიგნით ბასრი საგნების დამალვა და კრიტიკულ სიტუაციაში, მაშინ როდესაც პროტესტი იღებს უკიდურეს ფორმას ადამიანისთვის ზიანის მიყენება ("Descent into Chaos", 2023). სწორედ ამ პრაქტიკის უკუგდება გახდა ფემენისთვის პრიორიტეტული. იმის გათვალისწინებით, რომ აქტივიტები შიშვლები არიან, გულისხმობს იმას, რომ მათ არაფერი აქვთ დასამალი და შიშველი ხელებითა და შიშველი სხეულით ითხოვენ უკეთეს მომავალს. როგორც სიღრმისეული ინტერვიუსას ახსენა ფემენის აქტივისტმა, მათ არ აქვთ არანაირი იარაღი გარდა მათივე სხეულისა, რაც ბუნებრივი და ნორმალურია. სწორედ ამასთან დაკავშირებით ფემენის მანიფესტში ვკითხულობთ „ჩვენი იარაღი ჩვენი მკერდია!" (About Us – FEMEN.).

„ფემენი“ გამოირჩევა შიშველი პროტესტებით ისეთ ადგილებში, სადაც ყველაზე ნაკლებად მოელიან მათ. პრაქტიკაში ვხვდებით პროტესტს ვლადიმერ პუტინთან, ოლაფ შოლცთან, ანგელა მერკელთან და მრავალ მნიშვნელოვან პოლიტიკოსთან (Balmforth, 2010). მათთან მიღწევა არ არის ადვილი აქტივისტებისთვის, მითუმეტეს თუ თან აქვთ ბანერები ან რაიმე სახის წარწერა, რაც იქ მყოფი პირებისთვის შესამჩნევია. სწორედ ამიტომ, შიშველ სხეულზე დატანილი წარწერებით ხშირად აქვთ შესაძლებლობა ფემენის აქტივისტებს შეაღწიონ პოლიტიკოსებთან მნიშვნელოვან შეხვედრებზე და გაიხადონ სამოსი, რაც მედიის უდიდეს ყურადღებას იპყრობს. აქედან გამომდინარე, ფართო მასებისთვის ადვილად გასაგები ხდება აქტივისტთა მესიჯები. ამ ქმედებისთვის ფემენი ხშირად ხდება პოლიტიკური დევნის ობიექტი. სწორედ ასე მოხდა უკრაინაშიც იანუკოვიჩის პრეზიდენტობის დროსაც, როდესაც „ნადირობა“ გამოცხადდა ფემენის აქტივისტებზე, რამაც აქტივისტების პოლიტდევნილობა გამოიწვია. „Femen”-ის აქტივისტისა და თანადამფუძვნებლის ინტერვიუდან ვიგებთ, რომ 2012 წლისთვის „ფემენი“ საფრანგეთში გადავიდა. *„პოლიტიკური დაპირისპირების და დევნის გამო ფემენის აქტივისტებმა და დამფუძვნებლებმა დატოვეს უკრაინა, როგორც ლტოლვილებმა, 2012 წელს კი ისინი საფრანგეთმა შეიფარა“* (სიღრმისეული ინტერვიუ „ფემენ“-შვედეთის დამფუძვნებელთან. 17.05.23). *„იანუკოვიჩის საპრეზიდენტო სასახლეში მისი გადაყენების შემდგომ იპოვეს ფემენის აქტივისტების ფოტოები, რომელსაც იანუკოვიჩი პირად ფაილებში ინახავდა“* (სიღრმისეული ინტერვიუ „ფემენ“-ის აქტივისტთან. 09.05.23).

პოლიტიკოსებთან ურთიერთობების აუცილებლად უნდა აღინიშნოს მარი ლე პენის საპრეზიდენტო კამპანიის დროს მომხდარი პრეცენდენტი. *„ქალებს, რომლებსაც კამპანიის ფარგლებში ჩატარებულ შეხვედრებში მონაწილეობის მიღება სურდათ, უმოწმებდნენ ეცვათ თუ არა ბიუსჰალტერები, სწორედ ასე ცდილობდნენ გაკონტროლებას, რომ ფემენის აქტივისტი არ შესულიყო შეხვედრაზე და შიშველი სხეულის გამოყენებით არ გაეპროტესტებინა მარი ლე პენის ზედმეტად კონსერვატიული პოლიტიკა, რომელიც მიმართული იყო ქალების კიდევ უფრო მეტად დისკრედიტაციისაკენ“* (სიღრმისეული ინტერვიუ „ფემენ“-შვედეთის დამფუძვნებელთან. 17.05.23). მიუხედავად იმისა, რომ ფემენის აქტივისტები

აცხადებენ, რომ სიშიშვლე მათ არ მოუგონიათ და ეს ყოველთვის არსებობდა ბუნებაში, მათ მიუძღვით უდიდესი წვლილი შიშველი პროტესტის, როგორც პროტესტის რეპერტუარის ფორმირებაში, რამაც უდიდესი ჯაჭვური ეფექტი მიიღო.

ჯაჭვური ეფექტის განხილვისას საუბარი აუცილებლად უნდა დავიწყოთ „FEMEN-International"-ის შექმნით და უხეშად რომ ვთქვათ, ფემენის „ფილიალების" გახსნით, როგორც ევროპაში, ასევე აღმოსავლურ ქვეყნებშიც. ფემენის აქტივისტებისგან ვიგებთ, რომ 2012 წლიდან უკვე ვხვდებით ფემენს საფრანგეთში, შვედეთში, ჩეხეთის რესპუბლიკაში, ესპანეთში, გერმანიაში, თურქეთსა და პორტუგალიაში. *„დაფუძვნდა ფემენის საერთაშორისო ქსელი, ევროპის სხვადასხვა ქვეყნები შეუერთდნენ ფემენს. ამ ქვეყნებში იყო სხვადასხვა დონის ფემინიზმი, სწორედ ამიტომ ფემენმა დაიწყო რასიზმის, ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლა"* (სიღრმისეული ინტერვიუ ფემენ-გერმანიის დამფუძნებელთან. 19.05.23.). მიუხედავად ამისა, ფემენის მასშტაბურობა მხოლოდ ზემოაღნიშნულ ქვეყნებში არსებული ფემენის ფილიალური ორგანიზაციებით არ ამოიწურება და ფემენთან აქტიურად თანამშრომლობენ ქალები სხვადასხვა ქვეყნიდან, მათ შორის ისეთი ქვეყნებიდან, როგორიც არის ირანი, ტუნისი და საქართველოც. აქედან ძალიან საგულისხმოა დასავლური და არადასავლური ქვეყნების გამოცდილება. მიუხედავად იმისა, რომ დასავლურ ქვეყნებში ქალები მაინც სამართლებრივ წინააღმდეგობებს აწყდებიან, არადასავლურ, ისლამისტურ ქვეყნებში ქალებს ფემენის მხარდაჭერის და მკერდის გამოჩენის გამო ემუქრებათ სიკვდილით დასჯა რელიგიური მოტივებით, *„ისლამში თუ შენ უარი თქვი შენს რელიგიაზე ესეიგი შენი სისხლი ბინძურია, მე აღარ ვარ მსულიმი, ვინაიდან რელიგიურ ფანატიზმს ვარჩიე პროტესტი ამიტომ თუ ირანში დავბრუნდი სიკვდილით დამსჯიან"* (სიღრმისეული ინტერვიუს ირანელ აქტივისტთან." 10.05.23). გარდა ფემენისა, აღნიშნულ პრაქტიკას იზიარებენ სხვადასხვა მოძრაობები, როგორიცაა: გარემოს დაცვითი მოძრაობები, რადიკალ ფემინისტური მოძრაობები და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ აღინიშნა ბუნებაში შიშველი სხეული მუდამ არსებობა, სიღრმისეულ ინტერვიუში ფემენ-შვედეთის დამფუძვნებელი და აქტივისტი აღნიშნავს, რომ ის არქეტიპი, რაც შექმნა ფემენმა, შიშველ სხეულზე დაწერილი მესიჯების სახით, ერთ-ერთი პირველი იყო და

აქამდე არ არსებობდა, სწორედ ფემენის დამსახურებაა ის, რომ დღეს ბევრი მოძრაობა იყენებს შიშველ სხეულს რეპერტუარად.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის დაბრკოლებები და გამოწვევები, რაც აქტიურად დგას ფემენის წინაშე. ერთის მხრივ, ეს არის არსებული გამოწვევები, რაც გულისხმობს პოლიტიკოსებთან შეხვედრაზე შეღწევადობას, რასაც სჭირდება სწორი დრო და სწორი ადგილი. მეორე მხრივ, კი ეს არის ის სამართლებრივი წინააღმდეგობები ქალის სხეულის სიშიშვლესთან დაკავშირებით, რაც დიდ დაბრკოლებას ქმნის აქტივისტებისთვის. ზოგიერთ შემთვევაში მათ ემუქრებათ თავისუფლების აღკვეთა ან ჯარიმის გადახდა. თუმცა, გარდა პრაქტიკული მხარისა, ფემენი უფრო დიდ წინააღმდეგობებს აწყდება, უპირველესად კი ეს არის დეზინფორმაცია ფემენის შესახებ, რაც კიდევ უფრო ამწვავებს ფემენისადმი არსებულ კრიტიკულ პოზიციებს. მაგალითად, ისლამისტურ ქვეყნებში აქტიურად ვრცელდება დეზინფორმაცია იმის შესახებ, რომ ფემენი მოუწოდებს მუსმილ ქალებს მოიხადონ ჰიჯაბი და გაიხადონ ტანსაცმელი, თუმცა ეს ასე არ არის, *„გადაწყვეტილებამდე, რომ ქალებმა უარი თქვან ისლამზე და შეუერთდნენ ფემენის ღირებულებებს, თავადვე მიდიან, ფემენი უბრალოდ მხარს უჭერს მათ და არავის აძალებს ამას„* (სიღრმისეული ინტერვიუ ფემენის ირანელ აქტივისტთან. 10.05.23). მეორე და ძალიან მნიშვნელოვანი გამოწვევა არის დაპირისპირება ლიბერალურ ფემინიზმთან. როგორც უკვე აღინიშნა, ფემენი არის რადიკალური ფემინისტური ორგანიზაცია, სწორედ ამიტომ მათ აწერენ სეპარატიზმს, ტრანსფობიას და ქალის ობიექტივიზაციის ხელშეწყობას, რეალურად კი ასე არ არის, *„ფემენი აქტიურად იბრძვის სექსუალური უმცირესობების უფლებებისთვის და იზიარებს ფემინიზმის იმ ძირითად ღირებულებებს, რასაც ყველა მიმდინარეობის ფემინიმიზმი, რომ აღარაფერი ვთქვათ ქალის ობიექტივიზაციაზე, რის წინააღმდეგაც არის ფემენის კამპანიათა უმეტესობა მიმართული“* (სიღრმისეული ინტერვიუ ფემენ-გერმანიის დამფუძნებელთან. 19.05.23.).

საბოლოოდ, მიუხედავად წინააღმდეგობებისა და გამოწვევებისა, ასევე საზოგადოების სკეპტიკური დამოკიდბულებისა ფემენი მაინც წარმატებულად აგრძელებს საკუთარ საქმიანობას მიზნების მისაღწევად და აქტიურად იყენებს შიშველ სხეულს, როგორც პროტესტის რეპერტუარს, რომელსაც იზიარებს ბევრი სხვა

საპროტესტო მოძრაობაც, თუმცა განსხვავებული მოტივებითა და მიზნებით. სწორედ ერთ-ერთ ფართომასშტაბიან მოძრაობას, „SlutWalk"-ს განვიხილავთ ნაშრომის შემდეგ ნაწილში.

2.2 "SlutWalk"- ის მიერ სხეულის პროტესტის რეპერტუარად გამოყენების ანალიზი

„SlutWalk" არის ტრანსნაციონალური მოძრაობა, რომელიც დაიწყო კანადაში 2011 წელს და დღემდე აქტიურად გრძელდება მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ყოველწლიური მსვლელობის სახით. მოძრაობის მათავარი მიზანია ფემინისტური ღირებულებების გავრცელება და ქალის გაუპატიურების პრაქტიკის აღმოფხვრა. ყველაფერი დაიწყო იმით, რომ 2011 წელს ტორონტოში პოლიციელი ატარებდა უსაფრთხოების სემინარს, როდესაც განაცხადა, რომ ქალის უსაფრთხოებისთვის აუცილებელია იგი არ გამოიყურებოდეს „მეძავივით", ანუ არ ეცვას ისეთი ტანსაცმელი, რომელიც არსებული სტერეოტიპების თანახმად „მეძავს" შეეფერება. სწორედ პოლიციელის ამ განაცხადს მოჰყვა ქალების მიერ 2011 წლის 3 აპრილს ტორონტოში პირველი „SlutWalk"- ის ორგანიზება (Valenti, 2011). მოძრაობის სახელიც ძალიან სიმბოლურია, ვინაიდან ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს, მოძრაობისთვის ეწოდებინათ „მეძავების მსვლელობა", რაც ხაზს უსვამს მათ დამოკიდებულებას ქალების და სექს-მუშაკების მიმართ არსებული სტერეოტიპების უკუგდებასა და ქალთან მიმართებაში გაბატონებული სექსისტური და ქალთმოძულე დოგმების წინააღმდეგ გამოსვლას (Carr, 2013).

მიუხედავად იმისა, რომ "სლათვოქი" ბევრ ქვეყანაშია და მსვლელობები წლიდან წლამდე რამდენიმე კონტინენტის ქვეყნებს მოიცავს, როგორ ჩრდილოეთ და სამხრეთი ამერიკის, ასევე ევროპის, აზიის და ავსტრალიის კონტინენტებს (Staff, 2011). მათ მაინც აქვთ ერთნაირი მიზნები, ვინაიდან ყველგან, თითოეულ კონტინენტზე, თითოეულ ქვეყანაში დგას ფემინისტური ნარატივის უკუგდების და პატრიარქატული სტრუქტურის მიერ დამონებული ქალების უმწვავესი პრობლემა. თუმცა აუცილებალდ უნდა აღინიშოს ისიც, რომ მთავარ მიზნებს ქვეყნის მიხედვით ემატება ასპექტები, რომლებიც კონკრეტული ქვეყნის კულტურული თუ პოლიტიკური კონტექსტის

გათვალისწინებით მნიშვნელოვანია. *"ისრაელში სლათვოქის მოძრაობა მკაცრად აყენებს სკოლებში სექსუალური განათლების კურსის არსებობის საჭიროებას, რაც განპირობებულია საკითხისადმი ქვეყანაში არსებული დაბალი ცნობიერების დონით და იმ კულტურული და რელიგიური კონტექსტით, რაც ისრაელშია"* (სიღრმისეული ინტერვიუ „SlutWalk"-თელ-ავივ-ის ორგანიზატორთან და აქტივისტთან. 09.05.23.). ძირითადად იკვეთება რამდენიმე ასპექტი, რომელზეც კონცენტრირდება მოძრაობა:

1. ქალის გაუპატიურების წინააღმდეგ გამოსვლა. ეს საკითხი აქტუალურია იმ ყველა ქვეყნისთვის, სადაც იმართება მსვლელობები, ასევე აღსანიშნავია, რომ სწორედ ამის წინააღმდეგ ბრძოლაა მოძრაობები მთავარი მოტივი. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ქალის გაუპატიურებისაგან "დაცვზე" კომენტარის გაკეთება და მითითების გაცემა განაპირობებდა ტორონტოში მოძრაობის დაწყებას. თუმცა აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ეს პრობლემა უფრო მწვავედ დგას თეოკრატიულ და ავტორიტარიზმისკენ მდრეკილ ქვეყნებში, *„ისრაელში ქალის მიმართ სექსუალური ძალადობისა და ქალის შევიწროვების კუთხით კატასტროფული სტატისტიკაა. 10 დან 8 ქალი ან არის, ან იქნება სექსუალური ძალადობის მსხვერპლი"* (სიღრმისეული ინტერვიუ "SlutWalk"-ის აქტივისტთან და "SlutWalk"- ისრაელის დამფუძვნებელთან. 15.05.23).

2. ქალის სხეულის მიმართ არსებული პატრიარქატული სტერეოტიპების ნგრევა. სწორედ ქალს სხეულის სექსუალიზება და სტიგმების ქვეშ მოქცევა იწვევს ფართო წრეებში ამ სტერეოტიპების გაბატონებას. შესაბამისად, ქალს ხვდება რიგი ხელოვნურად შექმნილი ბარიერები, რაც, რა თქმა უნდა, უსამართლოა, ვინაიდან უკიდურესად სექსისტურია. ეს პრობლემა მწვავედ დგას ნებისმიერ ქვეყანაში და საზოგადოებაში. საზოგადოება ძალიან კონსერვატიულია ქალისა და მითუმეტეს ქალის სხეულთან მიმართებაში და ხშრად სწორედ კაცები აწესებენ როგორი უნდა იყოს ქალი, რაც აღნიშნულ სექსისტურ მიდგომებს ამძაფრებს და ასევე ქალებს ართმევს ინდივდუალიზმს. *„იმ შემთხვევაში თუ ქალი უარს ამბობს არსებულ სტერეოტიპებზე მორგებასა და ჩარჩოში ჩაკეტვაზე, ხშირად პატრიარქატული საზოგადოება ქალის დისკრედიტაციას ახდენს. სწორედ ეს მოხდა კანადაში, როდესაც პოლიციელმა ირიბად*

აღიარა, რომ „მეძავივით“ ჩაცმული ქალი გაუპატიურებას იმსახურებს.“ (სიღრმისეული ინტერვიუ "SlutWalk"-ის აქტივისტთან. 14.05.23).

3. მოძრაობისთვის ასევე ძალიან მნიშვნელოვანი მიზანია კოლექტიური იდენტობის შექმნა, როგრც უშუალოდ ორგანიზაციაში მომუშავეთათვის, ასევე მხარდამჭერებისთვის და ადამიანებისთვის, რომლებიც უერთდებიან მსვლელობას. მიუხედავად იმისა, რომ სლათვოქი ღიაა ნემისმიერი მხარდამჭესითვის, ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა ტენდენცია, რომლის მიხედვითაც, აქტივისტები ხშირ შემთხვევაში უშუალოდ ორგანიზატორიები ხდებიან და სისტემატიურად ერთვებიან ორგანიზაციულ საქმიანობაში მაშინ, როდესაც გააჩნიათ შევიწროების გამოცდილება ან დგანან გაუპატიურების რელური ფაქტის წინაშე, *“მიუხედავად იმისა, რომ მუდმივად მაწუხებდა ზოგადად არსებული გაუპატიურების ფაქტები და ქალების მიმართ არსებული შევიწროება და არაადამიანური მოპყრობა, აღსანიშნავია, რომ მსვლელობის ორგანიზებაში ჩართვა მას შემდეგ მოვისურვე, როდესაც გაუპატიურების მსხვერპლი გავხდი“* (სიღრმისეული ინტერვიუ „SlutWalk”- ჰაიფას ორგანიზატორთან. 14.05.23). „სლათვოქის“ მსვლელობაში მონაწილენი და ორგანიზაციის მუდმივი წევრნი გრძნობენ კოლექტივის მხარდაჭერას, რაც გამოიხტარება იმაში, რომ მათ შეუძლიათ ხმამაღლა განაცხადონ და ამხილონ მოძალადეები. ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი და ფართომასშტარბური კამპანია ჩატარდა ისრაელში, აქტივისტის თქმით *„მსვლელობის დაწყებისას დაიდგა დიდი დაფა, სად შესაძლებელი იყო, რომ დაგვეწერა იმ ადმიანის სახელი და მონაცემები, რომელებმაც მსვლელობის მონაწილეებზე, ჩვენზე იძალადეს“* (სიღრმისეული ინტერვიუ „SlutWalk”-ის აქტივისტთან. 14.05.23). აღნიშული ნათელი სურათია იმის, რომ მოძრაობა ქმნის მჭიდრო ემოციურ კავშირს უშუალოდ წევრებსა და მხარდამჭერების შორის, რაც აძლიერებს დასახული მიზნისკენ სწრაფვის ეფექტურობას და იმ მიზნების მკაფიოდ გამოკვეთას, რომელიც აქვს მოძრაობას.

„SlutWalk”-ის მსვლელობებთან დიდ კავშირშია შიშველი სხეულის, როგორც პროტესტის რეპერტუარად გამოყენების პრაქტიკა. მიუხედავად იმისა, რომ მოძრაობის მოთხოვნებში არ შედის მხოლოდ და მხოლოდ შიშველი სხეულით შეერთება მსვლელობებისას, აქტივისტები და მხარდამჭერები უმეტეს შემთხვევაში იყენებენ შიშველ ან ნახევრად-შიშველ სხეულის რეპერტუარს. აღნიშნული კვლავ უკავშირდება

2011 წელს კანადაში დაწყებულ მსვლელობას. *„ის, რომ პროტესტის მონაწილეებს აცვიათ გამჭირვალე ტანსაცმელი ან საერთოდაც შიშვლები არიან, განაპირობებს იმას, რომ მიუხედავად იმისა, რა აცვია ადამიანს ან საერთოდ აცვია თუ არა რაიმე, არ აძლევს კაცს საშუალებას და ნებართვას შეეხოს მას სურვილის წინააღმდეგ, მითუმეტეს, სექსუალურად იძალადოს მასზე. ასევე, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სიშიშვლე ადამიანის ბუნებრივი მოცემულობაა და არანაირად არ უნდა შეგვრცხვეს ჩვენ გამოვაჩინოთ ის, რაც ბუნებრივად გვაქვს“* (სიღრმისეული ინტერვიუ „SlutWalk” - ისრაელის აქტივისტთან. 15.05.23).

შიშველ სხეულზე საუბრისას აუცილებელია გავითვალისწინოთ სახელმწიფო დონეზე არსებული ლეგალურ-სამართლებრივი შეზღუდვები და დაბრკოლებები. ზოგიერთი ქვეყნისთვის სიშიშვლე კულტურის ნაწილია, ზოგიერთ ქვეყანაში ახლა ხდება სიშიშვლის ნორმალიზება, ზოგიერთში კი სიშიშვლეს დიდი სამართლებრივი, კულტურული და რელიგიურ წინააღმდეგობები ხვდება. სწორედ ეს ზემო აღნიშულიც უდიდეს გავლენას ახდენს სლათვოქის კონტექსტის და დატვირთვის, ინტენსივობის ცვლილებაზე განსხვავებული ქვეყნის კონტექსტში. თუ დასავლეთ ევროპაში ავსტრიაში, გემარნიაში და ასევე ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე, კანადასა თუ აშშ-ში სიშიშვლე შეძლებისდაგვარად ნორმალიზდება, საპირისპიროდ ამ ქვეყნებისა მაგალითად, ისრაელში სლათვოქი დიდ დაბრკოლებას აწყდება, რამდენადაც ქალის სიშიშვლე ისრაელში კანონით აკრძალულია. სწორედ ამიტომ, მსვლელობებისას ვერ იყენებენ სრულიად შიშველ სხეულს, თუმცა ხშირად მიმართავენ საცურაო კოსტიუმებისა და თეთრეული გამოყენებას, რაც სიშიშვლის ალტერნატივაც კია, *„მიუხედავად დაბრკოლებისა, აქტივისტთა ის ნაწილი, რომელიც მზად არის სამართლებრივ პასუხისგებაში მიეცნენ სიშიშვლის გამო, მაინც სრულიად იხდიან, სწორედ ასე წინააღმდეგობირივად ცდილობენ სექსისტური და ქალის დისკრიმინაციისკენ, სექსუალიზაციისკენ მიდრეკილ კანონთან ბრძოლას“* (სიღრმისეული ინტერვიუს „SlutWalk” თელ-ავივი-ის ორგანიზატორთან. 09.05.23.).

ასევე სლათვოქის გამოცდილებაზე საუბრისას, აუცილებლად უნდა გამახვილდეს ყურადღება ზოგადად კოლექტივის და ხალხის მასის მნიშვნელობაზე უშუალოდ მსვლელობისას. ორგანიზაციის ტაქტიკაა, რომ რამდენიმე ასი ან ათასი

ადამიანი დიდ დემონსტრაციას და კილომეტრიან მსვლელობას აწყობს ქალაქის ყველაზე დატვირთულ უბანში. მსვლელობისას მრავალი ადამიანის ჩართვა სიძლიერის გრძნობას აღძრავს აქტივისტებში. *„ერთი შიშველი ქალი ქალაქის დატვირთულ უბანში თუ დიდი ალბათობით გაუპატიურების მსხვერპლი ან თუნდაც შევიწროების ობიექტი გახდება, ეს თითქმის შეუძლებელია მოხდეს იგივე მოცემულობით ერთდროულად რამდენიმე ასი ან ათასი შიშველი ქალის შემთხვევაში. სწორედ ამ სიძლიერის შეგრძნებას სთვაზობს სლათვოქის მსვლელობები ქალებს“* (სიღრმისეული ინტერვიუ „SlutWalk” ჩიკაგოს აქტივისტთან. 17.05.23.).

„SlutWalk”- ის მსვლელობებების მასშტაბურობაზე მოწმობს, როგორც ქვეყნის შიგნით მსვლელობაში მონაწილეთა რაოდენობა, რომელიც გარკვეულ მომენტებში რამდენიმე ათასსაც კი აღწევს. ასევე, სლათვოქის საერთაშორისო და ტრანსნაციონალური ჯაჭვის არსებობა. დაწყებული 2011 წლიდან სლათვოქი დღემდე, 2023 წლამდე აქტიურად ორგანიზდება რამდენიმე კონტინენტზე ყოველწლიურად, ზოგჯერ კი წელიწადში რამდენჯერაც კი. ეს კი თავის მხრივ გულისხმობს სლათვოქის შვილობილი ორგანიზაციების არსებობას. ხშირ შემთვევაში ასეთი მასშტაბურობის გამო სლათვოქს მოიხსენიებენ, როგორც ტრანსნაციონალური ფემინიზმის ფორმას (Carr, 2013). *„აღსანიშნავია, რომ ორგანზიაციას და შვილობილ ორგანიზაციებს სვხადასხვა ქვეყანაში არ აქვთ მხოლოდ „ერთჯერადი“ მსვლელობის ორგანიზების დანიშნულება, არამედ ისინი მუდმივად აორგანიზებენ საგანმანათლებლო ღონისძიებებს, რომელიც უშუალოდ არის მათ საზოგადოებაში ინფორმირებულობის გაზრდისკენ მიმართული, ასევე ორგანიზდება ლოკალურ დონეზე ვიწრომასშტაბიანი საპოროტესტო აქციები, რომელიც უშუალოდ შიდაპოლიტიკურ არეალზე მიმდინარე მოვლენებზე ორიენტირდება“* (სიღრმისერული ინტერვიუ „SlutWalk”- ჰაიფას აქტივისტთან. 14.05.23.). თუმცა მიუხედავად ასეთი მასშტაბურობისა და სახელგანთქმულობისა, ორგანიზაცია მაინც აწყდება უდიდეს გამოწვევებს როგორც საერთაშორისო, ასევე ლოკალურ დონეზე. ხშირ შემთვევაში სლათვოქვს აკრიტიკებენ „სიშიშვლის პრივილეგიის“ გამოყენებისთვის, რომლის მიხედვითაც, სწორედ პრივილეგიაა ის, რომ ქალის გაშიშვლებით ისინი იპყრობენ უდიდეს ყურადღებას და აღწევენ მსოფლიო მასშტაბის ცნობადობას, ხოლო როდესაც იგივეს აკეთებს მამაკაცი ვერ ვხედავთ იგივე

ეფექტს (Hunt, 2018). *„ერთეული ქვეყნების დონეზე დაბრკოლებები უმეტესწილად არის დაკავშირებული ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ რეჟიმთან, რელიგიურ მოტივებსა და კულტურულ კონტექსტზე. მაგალითად, წინაღობების ერთიანი ნაზავს ვხვდებით ისრაელში“* (სიღრმისეული ინტერვიუ „SlutWalk” თელ-ავივ-ის ორგანიზატორთან. 09.05.23.).

მიუხედავად ამ დაბრკოლებებისა, მოძრაობა აქტიურად აგრძელებს მუშაობას მსოფლიოს სხვადასვხა ქვეყნებში და მეტიც, სულ უფრო და უფრო მეტ ქვეყანაში ტარდება სლათვოქის სახელით მსვლელობები და მოძრაობის მხარდამჭერთა რიცხვი იზრდება. ეს კი კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება ერთმა მოვლენამ, რომელიც 2011 წელს მოხდა კანადაში, აპროვოციროს მსოფლიო მასშტაბის მოძრაობა, რომელიც უკვე 12 წელია წარმატებით მიმდინარეობს.

თავი 3. „FEMEN”-ის და „SlutWalk”- ის შედარებითი ანალიზი

წინა თავში მიმოვიხილეთ ორი მოძრაობა, რომელიც აქტიურად იყენებს შიშველ სხეულს, როგორც პროტესტის რეპერტუარს მიზნის მისაღწევად და მოთხოვნების წამოსაყენებლად. ერთი შეხედვით შეიძლება მათი მიზანსწრაფვა სრულიად განსხვავებული იყოს ერთმანეთისგან და მიუხედავად დატვირთვის სხეულზე გადატანისა, განსხვავებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სხეულს, თუმცა თუ შევხედავთ სხვა მხრივ, აუცილებლად დავინახავთ მათ შორის მსგავსებასაც. თავიდანვე უნდა ვთქვათ, რომ ორივე მოძრაობა მხარს უჭერს ქალთა უფლებების ადვოკატირებას და ფემინისტური ნარატივის გავრცელებას. სიშიშვლით ისინი ცდილობენ, უკუაგდონ ქალის ობიექტივიზაციის პრაქტიკა და ის ტაბუ, რომელიც ფესვგადგმულია ქალის სხეულთან მიმართებაში. თუმცა, ფემენი ამას რადიკალური მეთოდებით აკეთებს, სლათვოქის მიმართულება კი უფრო მეტად კონცენტრირდება ქალის გაუპატიურების პრაქტიკის უკუგდებასთან.

“FEMEN”-სა და „SlutWalk”-ზე საუბარი აუცილებელია დავიწყოთ უმთავრესი მსგავსებით, რაც გულისხმობს შიშველი სხეულის საპროტესტო ინსტრუმენტად გამოყენებას. ორივე მოძრაობა იზიარებს უმთავრეს მიზანს, ქალის სხეულთან მიმართებით არსებული სტერეოტიპების და ქალის სხეულის ობიექტივიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის სახით. თუმცა, სხეულის საპროტესტო რეპერტუარად გამოყენების პრაქტიკა მაინც განსხვავდება ორ მოძრაობაში ერთმანეთისაგან. „ფემენს“ აქვს შექმინილი არქეტიპი, ერთგვარი ხელწერა, რასაც წელს ზევით, ე.წ. „ტოპლეს“პროტესტი ჰქვია, სწორედ ამით არის ცნობილი ფემენის ყველა პროტესტი. ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ „ფემენის“ სტრატეგია უშუალოდ არის შიშველ სხეულზე წარწერის სახით მთავარი მესიჯის დატანა და ნაკლებად იყენებენ ბანერებს და სხვა დამხმარე საშუალებებს. „ფემენი“ სიშიშვლეს უფრო რადიკალურ მნიშვნელობას აძლევს და სამოქალაქო დაუმორჩილებლობის ინსტრუმენტად განიხილავს მას. ასევე, დიდი ყურადღება მახვილდება ორგანიზაციის მხრიდან სიშიშვლის, როგორც ყურადღების მიმპყრობი, ტაქტიკის გამოყენების კუთხით.

„სლათვოქის“ ტაქტიკა შედარებით განსხვავებულია. მიუხედავად იმისა რომ მსვლელობისას აქტივისტები არ ერიდებიან სიშიშვლეს, მათ მაინც არ აქვთ დადგენილ

მოთხოვნად, რომ აუცილებლად უნდა იყვნენ წელს ზემოთ შიშვლები, არამედ ისინი აქტიურად იყენებენ გამჭირვალე ტანსაცმელს, თეთრეულს და „პროვოკაციულ“ ტანსაცმელს, ხშირ შემთვევაში კი სიშიშვლესაც კი. სწორედ ეს აღნიშული, უსვამს ხაზს ინდივიდუალურ დონეზე თვითგამოხატვის და თითიდენტიფიცირების მნიშვნელობას, რაც ერთგვარად პრიორიტიზებულია მოძრაობაში. *„SlutWalk“-ის ტაქტიკა ითვალისწინებს დიდ მარშებსა და დემონსტრაციებს, ასევე შიშველ პროტესტთან და პროვოკაციულ ჩაცმულობასთან ერთად ხშირად იყენებს სხვა და სხვა სახის ბანერებსა და ატრიბუტიკას, რითაც უფრო მეტად ამწვავებს ყურადღების მიპყრობას და ცნობადობის გაზრდას მედია საშულებით“* (სიღრმისეული ინტერვიუ „სლათვოქ“-ჩიკაგოს ორგანიზატორთან. 17.05.23). „ფემენის“ შემთხვევაში კი შიშველ პროტესტთან ერთად დამატებით ყურადღების მიმპყრობ ტაქტიკას წარმოადგენს არა მასაზე და ხალხის რაოდენობაზე გათვლილი პროტესტი ან ატრიბუტიკა, არამედ უშუალოდ საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე მაღალი რანგის ღონისძიებებზე შეღწევადობა ამ პლატფორმების გამოყენება უფრო დიდი „შოკური ეფექტის“ შესაქმნელად, რაც პირდაპირ პროპირციულია უფრო ფართომასშტაბიან მედია გაშუქებასთან. ანუ, სიშიშვლესთან მიმართებაში აღსანიშნავია ისიც, რომ ფემენის რადიკალიზმი გამოვლინდება „ტოპლეს“ აქტივიზმით ისეთ ადგილებში, სადაც ყველაზე ნაკლებად მოელიან ამას.

იმის გამო, რომ თავიდან აირიდონ სამართლებრივი პასუხისგება არ ერიდებიან გაშიშვლებას, რასაც ადასტურებს გაშიშვლება ეკლესიებში, მეჩეთებში, მაღალი რანგის თანამდებობის პირებთან და ა.შ. სლათვოქის შემთვევაში კი ხშირად ქვეყნის პოლიტიკურ, კულტურულ და რელიგიურ კონტექსტი დიდ როლს თამაშობს, ამიტომ, მიუხედავად სურვილისა, რომ პროტესტი შიშველი იყოს ხშირ შემთვევაში მაინც უწევთ სხეულის დაფარვა სტიკერებით და სხვადასხვა საშუალებებით, *„ისრაელში განსხვავებული სიტუაციაა სხეულის გამოჩენის მხრივ, ხშირ შემთვევაში სიშიშვლის გამო გვაკავებენ, სწორედ ამიტომ გვიწევს სხეულის დაფარვა, ამას აქტივისტებისა და მსვლელობის მონაწილეების უსაფრთხოებისთვის ვაკეთებთ, თუმცა არის გამონაკლისებიც“* (სიღრმისეული ინტერვიუ სლათვოქ-ჰაიფას აქტივისტთან. 14.05.23.). საბოლოოდ, წინააღმდეგობების მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ ქალის სხეულის

ბუნებრივობაზე ხაზგასმა და შიშველი სხეულის ნორმალიზება, ისე რომ ქალი არ გახდეს ძალადობის მსხვერპლი, მთავარი მიზანია ორივე მოძრაობისათვის *„ქალის სხეული მუდმივად სექსუალიზებულია და სტიგმაშია მოქცეული, მაგრამ ეს არის ჩვენი ბუნებრივი მოცემულობა და ნორმალურია, ამის გამო არ უნდა ვისჯებოდეთ“* (სიღრმისეული ინტერვიუ ფემენ- გერმანიის დამფუძვნებელთან. 19.05.23.).

სიშიშვლეზე საუბრისას, არ უნდა დაგვავიწყდეს და აუცილებლად უნდა აღინიშნოს, კაცების მიმართ დამოკიდებულება. მაგალითად, ფემენი პროტესტისას არ უშვებს კაცებს, ვინაიდან კაცებისთვის ე.წ „ტოპლეს“ ყოფნა ისედაც ნორმალურია და არანაირი განკიცხვის ობიექტები არ ხდებიანისინი, განსხვავებით ქალებისა *„ჩვენ ფემენში კაცი აქტივისტები სწორედ იმიტომ არ გვყვავს, რომ კაცები საჯარო თავაშეყრის ადგილებში წელს ზევით სიშიშვლისთვის არ სამართლდებიან“* (სიღრმისეული ინტერვიუ ფემენ-შვედეთის დამფუძვნელებლთან. 17.05.23.). ფემენის „ტოპლეს“ პროტესტის სტრატეგია მიზნად ისახავს იმ უთანასწორობის აღმოფხვრას, რასაც ყოველდღიურად ვხვდებით. ამ კამპანიებში კაცების მონაწილეობა კი ამ დედააზრს კლავს. რაც შეეხება „სლათვოქს“, შეიძლება ვთქვათ,რომ მოძრაობა უფრო მეტად ინკლუზიურია იმდენად, რამდენადაც სლათვოქის მსვლელობებში კაცები აქტიურად იღებენ მონაწილეობას და ხშირად ორგანიზაციის წევრებიც კი ხდებიან.

კაცებთან მიმართებით არსებული განსხვავებული დამოკიდებულება გამოწვეულია ორგანიზაციების საბოლოო მიზნის ხედვასთან. სლათვოქისთვის მთავარ მიზანს წარმოადგენს გაუპატიურების მსხვერპლის დადანაშაულების პრაქტიკის აღმოფხვრა, მოძრაობა იბრძვის იმ სტერეოტიპის წინააღმდეგ, რომლის მიხედვითაც ქალი თავისი გარეგნობის ან ქცევის მიხედვით „ითხოვს“ ან თუნდაც იმსახურებს სექსუალური ძალადობის მსხვერპლი გახდეს (Hill, 2016). შესაბამისად, სლათვოქისთის მისაღებია, მხარი დაუჭიროს რაც შეძლება ბევრმა ადამიანმა განურჩევლად სქესისა, მით უმეტეს, კაცებმა, რომელნიც პოტენციურად მოიაზრებიან სექსუალურად მოძალადეებად. ასევე, სლათვოქის პროტესტის რეპერტუარი სიშიშვლის ტექნიკის გამოყენებასთან ერთად, მიზნად ისახავს რაც შეიძლება ბევრი ადამიანის მობილიზება მოახდინოს და შექმნას ჯგუფური სიძლიერის შეგრძნება, რაც ერთის მხრივ, მორალური თანადგომითაც გამოიხატება და მეორეს მხრივ, ჯგუფის ფიზიკურ სიძლიერესაც

ასახავს *„მსვლელობისას მონაწილეები დაცულად გრძნობენ თავს არა იმიტომ, რომ ჩვენ გვიცავს პოლიცია ან რამე სტრუქტურა, არამედ ჩვენ ვართ კოლექტივი ხალხისა, ჯგუფი, სადაც ერთმანეთის თანამოაზრეები ვართ და ის, რომ მე ჩემივე ჯგუფთან ვშიშვლდები და ვაჩენ სხეულს, მიქმნის დაცულობის შეგრძნებას, რომ მიუხედავად ჩემი სიშიშვლისა, ვერავინ ვერ მოვა და ვერ იძალადებს ჩემზე, მე ამისგან ჯგუფი და ხალხი მიცავს“* (სიღრმისეული ინტერვიუ „სლათვოქის“ აქტივისტთან. 14.05.23).

რაც შეეხება ფემენს, მოძრაობა არ კონცენტრირდება მხოლოდ ერთ მიზანზე, არამედ, იგი ზოგადად სექსიზმის, პატრიარქატული სტრუქტურებისა და სოციალური უსამართლობის წინაღმდეგ სლათვოქთან შედარებით ფართო საპროტესტო სპექტრით გამოდის (O'Keefe, 2014). მოძრაობების შედარებითი ანალიზისას, ასევე აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის კონტექსტი, რა კონტექსტშიც წარმოიშვნენ ისინი. როგორ უკვე აღინიშნა, სლათვოქი კანადაში ჩამოყალიბდა, დასავლურ სამყაროში, სადაც ნაკლებად იდგა სიმწვავე პოლიტიკური კრიზისების და რელიგიური ფანატიზმისა კუთხით. მაგრამ, ფემენი ამგვარ კონტექსტში არ ჩამოყალიბებულა, არამედ ორგანიზაცია დაფუძვნდა უკრაინაში იანუკოვიჩის მმართველობის პერიოდში, რასაც თან სდევდა მისთვის დამახასიათებელი პრო-რუსული პოლიტიკის გატარება და კორუფციული რეჟიმის დამყარება ქვეყანაში (Gorchinskaya, 2020). ასევე, აღსანიშნავია უკრაინაში მართლმადიდებლური ეკლესიის სიძლიერე და ძლიერი რელიგიური გავლენა საზოგადოებაზე, რაც კიდევ ერთხელ აკნინებს ქალის როლს და უკუაგდებს ფემინისტურ შეხედულებებს. სწორედ ზემოაღნიშნულმა აპროვოცირა ფემენის შიშველი პროტესტის უფრო მეტად ფართო სპექტრი და არა პროტესტის მხოლობითი ასპექტი. იმას, რომ სლათვოქი ხშირ შემთვევაში პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს ინარჩუნებს, ადასტურებს სლათვოქ-ირაელის ქსელიც. ისრაელის ტერიტორიაზე არსებული სლათვოქის მოძრაობები მიუხედავად პოლიტიკური პრეფერენციებისა, წევრად ნებისმიერ ადამიანს იღებს, ასევე მსვლელობას უერთდება ნებისმიერი ადამიანი, ვინც მხარს უჭერს მსვლელობის იდეას და ღირებულებებს, მიუხედავად მათი პოლიტიკური, სექსუალური და ა.შ. პრეფერენციებისა. სწორედ ამიტომ არის სლათვოქი მეტად ინკლუზიურირი: *„ჩვენთვის მთავარია ერთიანი იდეა გვქონდეს ორგანიზაციის მთავარ*

ღირებულებებთან მიმართებაში, ჩვენთვის არ აქვს აზრი ვინ ისრაელის იდეას უჭერს მხარს და ვინ პალესტინის მართებულობას“ (სიღრმისეული ინტერვიუ „SlutWalk” ჰაიფას აქტივისტთან. 14.05.23).

ფემენის შემთხვევაში მკაფიოდ არის გამიჯნული პოლიტიკური პრეფერენციები. ორგანიზაცია ორიენტირდება უფრო მეტად დემოკრატიულ კურსზე და გამოდის დიქტატურისა და აბსოლიტური ძალაუფლების წინააღმდეგ, შესაბამისად, არადემოკრატიული რეჟიმის მხარდამჭერი აქტივისტები არ გვხვდება ფემენში და აქ დიდი ყურადღება ექცევა რელიგიურ, პოლიტიკურ, გენდერზე ორიენტირებულ პრეფერენციებს და მსოფლმხედველობას. ამიტომ, ფემენი ხშირად გამხდარა პოლიტიკური ავტორიტეტების კრიტიკის საგანი და ხშირად ამა თუ იმ პოლიტიკური რეჟიმის წინააღმდეგ გამოსვლისთვის სამართლებრივი პასუხისგების წინაშეც კი დამდგარან აქტივისტები. მაგალითად, საფრანგეთში ვლადიმერ პუტინის ვიზიტისას, აქტივისტები „ტოპლეს“ პროტესტისთვის დააკავეს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის მუხლით (Golloher, 2013). თუმცა, უფრი მწვავე ხასიათს იღებს სამართლებრივი ზომები და პროტესტზე რეაგირება ავტორიტარული რეჟმის მქონე ქვეყნებში. მაგალითად, 2013 წელს დააკავეს ფემენის სამი აქტივისტი ტუნისში პროტესტისას, რომელიც მიმართული იყო ისლამისტური რეჟიმის წინააღმდეგ. ასევე აღსანიშნავია, 2012 წელს ფემენის აქტივისტების დაკავება და ბრალის წაყენება რუსეთში პუტინის რჟიმისა და ეკლესიის წინააღმდეგ პროტესტისას. აქტივისტები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ „ტოპლეს“ პროტესტში, რუსეთიდან დეპორტაციით გამოუშვეს და აუკრძალეს რუსეთში შესვა ცხოვრების ბოლომდე, მათგან ერთ-ერთი სწორედ ფემენის დამფუძვლებელი ოქსანა ჩაშკო იყო, რომელიც რამდენიმე თვის შემდეგ გაურკვეველ ვითარებაში მოკლული იპოვეს.

“Femen“-ს ასევე ჰქონდა რამდენიმე პროტესტი თბილისშიც, აქედან ყველაზე დიდი რეზონანსი მოჰყვა 2022 წელს შვეიცარიის საელჩოსთან ჩატარებულ აქციას, სადაც ფემენის სამი აქტივისტი აპროტესტებდა რუსეთის შეჭრას უკრაინაში. პროტესტის შემდგომ, აქტივისტები ინგა გრიგოლიას გადაცემაშიც კი მიიწვიეს, სადაც ფემენისთვის დამახასიეათებელი საპროტესტო ტექნიკით პირდაპირ ეთერში კვლავ გააპროტესტეს რუსეთის მიერ წამოწყებული ომი. ამ ეთერს კი მოჰყვა უდიდესი

გამოხმაურება. სწორედ ეს და სხვა მრავალი ფაქტი დებატებს იწვევს აქტივისმის ფარგლებსა და გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებით, არა მხოლოდ ზემო აღნიშულ ქვეყნებში, არამედ მსოფლიო მასშტაბით. მიუხედავად იმიასა, რომ სლათვოქი ერთგვარად დისტანცირებულია პოლიტიკისგან მაინც ხშირად ხდება პოლიტიკური ავტორიტეტების მიერ კრიტიკის საგანი. მაგალითად, Washington Post-ის მიხედვით, კანადაში მაიკლ ბრაინატმა, რომელიც ონტარიოს ყოფილი გენერალური პროკურორია, თანამდებობაზე ყოფნისას მკაცრად გააკრიტიკა სლათვოქის საპროტესტო ტექნიკა, უშუალოდ სხეულის დემონსტრირება სიშიშვლის სახით და თქვა, რომ აღნიშული მეთოდი აუცილებლად აღქმული იქნება, როგორც სახელმწიფოს მხრიდან უხამსობის ხელშეწყობა, ამიტომ აუცილებლად უნდა მომხდარიყო ლეგალურ სამართლებრივ დონეზე მოძრაობის მიმართ აღკვეთი ღონისძიებების გატარება.

აღსანიშნავია, ზემო აღნიშულ ორი მოძრაობის ორგანიზაციულ სტრუქტურებს შორის განსხვავება, რაც თავის მხრივ ახდენს გავლენას მიზნების ფორმირებაზე. „*SlutWalk-ის მსვლელობები ხშირად ორგანიზდება ადგილობრივ დონეზე, ანუ მოძრაობა მოუწოდებს მხარდამჭერებს ადგილობრივ დონეზე საკუთრი მარშები და მსვლელობები მოაწყონ SlutWalk-ის სახელით*“ (სიღრმისეული ინტერვიუ „სლათვოქ“ თელ-ავივ-ის დამფუძვნებელთან. 09.0523.). სწორედ ამიტომ, ზოგიერთი მხარდამჭერი ორგანიზაცია არაოფიციალურადაც ყალიბდება, თუმცა იმდენად არის პროტესტის რეპერტუარად გამჯდარი სხეულის გამოყენება, რომ მიუხედავად ასობით და ათასობით ჩამოყალიბებული ოფიციალური თუ არაოფიციალური ორგანიზაციისა მხარდამჭერი ჯგუფის საპროტესტო რეპერტუარი არ განიცდის ცვლილებას და სხეულის დემონსტრირება კვლავ რჩება ერთ-ერთ უმთავრეს ტექნიკად მოძრაობის მოთხოვნებისა და პროტესტის გამოხატვის კუთხით. „სლათვოქის“ დეცენტრალიზმიდან გამომდინარე, ორგანიზაციას ყველა კონტინენტზე აქვს ოფიციალური თუ არაოფიციალური შვილობილი ორგანიზაციები, ამიტომ ისინი ახერხებენ განიხილონ სექსუალური ძალადობისა და მსხვერპლის დადანაშაულების პრაქტიკა სხვადასხვა კულტურული და სოციალური კონტექსტიდან გამომდინარე. „ფემენი“ ძირითადად ევროპასა და ახლო აღმოსავლეთზე კონცენტრირდება, სწორედ ეს რეგიონები ესახება საკუთრი იდეოლოგიის გამავრცელებელ მთავარ სამიზნე ჯგუფად

და ამ რეგიონებში ხედავს ორგანიზაცია მწვავე გამოწვევას ქალთა უფლებებისა და ქალის მჩაგვრელი პატრიარქატული სოციალური ნორმების სახით.

თუმცა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად საერთშორისო პარტნიორებთან სხვადასხვაგვარი ურთიერთობისა, ორივე ორგანიზაცია აქტიურად ინარჩუნებს შიშველ სხეულს, როგორც საპროტესტო რეპერტუარს და ერთგვარ ინსტრუმენტს. სწორედ იმის ანალიზი, თუ როგორ იყენებენ ზემოაღნიშული მოძრაობები სხეულს, როგორც პროტესტის რეპერტუარას იძლევა თვალსაჩინო სურათს თუ რამხელა ყურადღებას ანიჭებენ ეს მოძრაობები სხეულის ავტონომიას, თვითგამოხატვის თავისუფლებას, ქალის სხეულის ნორმალიზებას და დესტიგმატიზაციას, რაც მიმართულია სოციალური, პოლიტიკური და კულტურული კონტექტის უკეთესობისაკენ ცვლილებებისკენ.

ცხრილი N1. „FEMEN"-ისა და „SlutWalk"-ის სხვაობა

მახასიათებელი	**„FEMEN"**	**"SlutWalk"**
პროტესტის რეპერტუარი	იყენებს ე.წ. „ტოპლეს" პროტესტს, სხეულზე დატანილი წარწერებით.	იყენებს გამჭირვალე ტანსაცმელს, სიშიშვლეს, ბანერებს, ატრიბუტიკას.
მთავარი ორიენტირი	აქტიურად იბრძვის პოლიტიკური კრიზისებისა და კორუფციის, რელიგიური ფანატიზმის წინააღმდეგ.	ორიენტირებულია მხოლოდ ფემინისტურ ნარატივზე, გაუპატიურების პრაქტიკისა და მსხვერპლის დადანაშაულების აღმოფხვრაზე.
ორგანიზაციული სტრუქტურა	ძირითადად ორიენტირებულია ევროპასა და ახლო აღმოსავლეთზე, ხსნის ოფიციალურ, „ფილიალურ" ორგანიზაციებს.	აქვს ტრანსნაციონალური ქსელი, მოიცავს რამდენიმე კონტინენტს.
ინკლუზიურობა	მოძრაობა არ მოიაზრებს მამაკაც აქტივისტებს, აქცენტი აქვთ მხოლოდ ქალებზე.	მოძრაობა ინკლუზიურია, ვინაიდან მოუწოდებს მამაკაცებს მხარი დაუჭირონ და ჩაერთნონ მსვლელოებებში.

ცხრილი N2. „FEMEN”-ისა და „SlutWalk”-ის მსგავსება

მახასიათებელი	**„FEMEN” და “SlutWalk”**
ადვოკატირება	ქალთა უფლებების ადვოკატირება და ფემინისტური ნარატივის გავრცელება.
საპროტესტო ინსტრუმენტი	შიშველი სხეულის გამოყენება არსებულ სტერეოტიპებთან და ქალის ობიექტივიზაციასთან საბრძოლველად.
სიშიშვლის ნორმალიზება	აქცენტი ქალის სხეულის ბუნებრიობაზე და სიშიშვლის ნორმალიზება.
უთანასწორობასთან ბრძოლა	ბრძოლა სექსიზმის, სოციალური უთანასწორობისა და პატრიარქატული სტრუქტურების წინააღმდეგ.

დასკვნა

თანამედროვეობაში სულ უფრო და უფრო იზრდება პროტესტისას სხეულის რეპერტუარის, უფრო კონკრეტულად კი შიშველი სხეულის დემონსტრირების გამოყენება, რომელსაც ზემოაღნიშული არაერთი მაგალითი ადასტურებს. ამ რეპერტუარს ვხვდებით როგორც დემოკრატიულ, ისე ავტორიტარულ სისტემებში, რაც ქვეყნის სოციალური, პოლიტიკური და კულტურული კონტექსტიდან გამომდინარეობს. ასევე შიშველი სხეულის საპროტესტო ინსტრუმენტად გამოყენების პრაქტიკას საქართველოშიც ვხვდებით, რაც განხილულია მესამე თავში. კვლევა მიზნად ისახავდა გაეანალიზებინა, თუ რა სახის დატვირთვა და მნიშვნელობა აქვს ადამიანის სხეულს უშუალოდ პროტესტის რეპერტუარის ფორმირებისას და რა გავლენას ახდენს პროტესტებზე სხეულის, როგორც პროტესტის რეპერტუარის გამოყენება. კვლევის დასაწყისში წამოყენებულ იყო ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც პროტესტში სხეულის რეპრტუარის გამოყენება იქცევს დიდ ყურადღებას, რაც თავის მხრივ აისახება პროტესტის გავლენის მასშტაბებზე. მეორე ჰიპოთეზის მიხედვით ვივარაუდეთ, რომ პროტესტისას შიშველი სხეულის დემონსტრირება დიდ გავლენას ახდენს პროტესტის სიმწვავეზე, თუმცა სწორედ ეს სიშიშვლე რიგ შემთხვევებში აკნინებს მთავარ საპროტესტო მესიჯს.

კვლევის შედეგად ჩვენი პირველი ჰიპოთეზა დადასტურდა. კვლევამ აჩვენა, რომ პროტესტისას შიშველი სხეულის დემონსტრირება და სხეულის პროტესტის რეპერტუარად გამოყენება მართლაც იქცევს დიდ ყურადღებას, როგორც საზოგადოების, ასევე მედიის მხრიდანაც, რაც შედეგად იწვევს საერთაშორისო მასშტაბებზე ცნობადობის გაზრდას. სწორედ ამიტომ, დიდი პოპულარულობით სარგებლობს ნაშრომში განხილული ორი საპროტესტო მოძრაობა „FEMEN" და "SlutWalk". აუცილებლად უნდა აღინიშნოს კვლევის შედეგად გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები, რომლის მიხედვითაც, საპროტესტო რეპერტუარის შერჩევა მჭიდროდ არის დაკავშირებული საპროტესტო მოძრაობის მთავარ მიზნებთან და მსოფლმხედველობასთან. კვლევის თანახმად, სულ უფრო აქტუალური ხდება შიშველი სხეულის საპროტესტო იარაღად გამოყენება როგორც დემოკრატიულ, ისე

ავტორირატულ სისტემებში. ყურადღების მიპყრობით და დიდ საერთაშორისო მასშტაბებზე გასვლით ზემო აღნიშულმა მოძრაობებმა მოიპოვეს მხარდაჭერა და საპროტესტო საქმიანობას აგრძელებენ სხვადასხვა ქვეყანაში, თუმცა, აუცილებლად გასათვალისწინებელია, ის დაბრკოლებებიც რომელიც ფართო მასშტაზე ხვდებათ მოძრაობებს.

ნაწილობრივ დადასტურდა მეორე ჰიპოთეზაც. აღსანიშნავია, რომ ჩვენს მიერ განხილული მოძრაობეისთვის შიშველი სხეულის საპროტესტო ინსტრუმენტად გამოყენება არ არის რადიკალური ხასიათის, ვინაიდან აქტივისტების განცხადებით არაფერია რადიკალური იმაში, რაც ადამიანს ბუნებრივად აქვს. სწორედ ქალის სხეულზე არსებული სტერეოტიპების და ტაბუების გამო აღიქმება ქალის საჯარო ადგილზე გაშიშვლება რადიკალურად, რაც სრულიად აბსურდულია ფემენისა და სლათვოქისთვის. თუმცა დადასტურდა ჰიპოთეზის მეორე ნაწილი, რომლის მიხედვითაც სიშიშვლე ხშირ შემთვევაში არასწორი ინტერპრეტაციით აღიქმება და ჩრდილავს საპროტესტო მესიჯს. ასევე ხშირად სიშიშვლის გამო ხდება უშუალოდ საპროტესტო მესიჯის დაკნინებაც. მოძრაობები კი აქტიურად ცდილობენ გაუმკლავდნენ ამ ტენდენციას, რაც გამოიხატება სხვადასხვაგვარი ტექნიკის შემუშავებითა და საინფორმაციო კამპანიების გამართვით.

ამრგად, მიუხედავად რიგი გამოწვევებისა, საპროტესტო მოძრაობების მიერ სხეულის რეპერტუარის გამოყენება ზემოთ გაანალიზებული ორი მოძრაობის მაგალითზე შესაძლებელია წარმატებულ პრაქტიკად ჩაითვალოს, თუმცა პროტესტის რეპერტუარის არჩევა, მჭიდროდ არის დაკავშირებული საპროტესტო მოძრაობის მთავარ მიზნებსა და მსოფლმხედველობაზე. შესაბამისად, კვლევა ემთხვევა თეორიულ ჩარჩოში განხილულ, ჩარლს ტილის მიერ შემოთავაზებულ, პროტესტის რეპერტუარის კონცეფციას. ასევე, ამას ადასტურებს საპროტესტო რეპერტუარის ჩამოყალიბება სოციალური, პოლიტიკური და კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით, ისევე, როგორც რეპერტუარის ჯაჭვური ხასიათი.

გამოყენებული ლიტერატურა

Progressnews.press (2022, მარტი 14). შიშველი პროტესტი გრიგოლიას ეთერში. https://shorturl.at/fC236

About Us – FEMEN. (n.d.). https://femen.org/about-us/

Balmforth, R. (2010, November 15). Ukraine's topless groups widens political role. U.S.https://www.reuters.com/article/us-ukraine-femen-idUSTRE6AE1FB20101115

Blakemore, E. (2015, December 30). How the body can shape social protest. JSTOR Daily. https://daily.jstor.org/body-can-shape-social-protest/

Carr, J. L. (2013). The SlutWalk Movement: A Study in Transnational Feminist Activism. Journal of Feminist Scholarship. https://digitalcommons.uri.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1071&context=jfs

Descent into Chaos. (2023). In Human Rights Watch. https://www.hrw.org/report/2011/05/03/descent-chaos/thailands-2010-red-shirt-protests-and-government-crackdown

Erikson, E. H. (1994). Identity and the Life Cycle. W.W. Norton & Company.

Femen and PussyRiot stage topless protest in Tbilisi. (2022, March 12). [Video] https://www.newsflare.com/video/483326/movement-pus-sy-riot-and-femin-protest-russian-attack-on-ukraine-in-tbilisi

Figueria-Borges, G. (2019). Female body, discursive threads and the "slutwalk" movement. Revista Do GELNE. https://periodicos.ufrn.br/gelne/article/view/15847/11247

Golloher, J. (2013, April 8). Topless protesters demonstrated against Putin. VOA. https://www.voanews.com/a/topless-protesters-demonstrate-against-putin/1637252.html

Goodwin, J. (2002). No other way out: states and revolutionary movements, 1945-1991. Cambridge University press.

Gorchinskaya, K. (2020). A brief history of corruption in Ukraine: the Yanukovych era. EurasiaNet. https://eurasianet.org/a-brief-history-of-corruption-in-ukraine-the-yanukovych-era

Hill, A. (2016). Slutwalk as perifeminist response to rape logic: The politics of reclaiming a name. Communication and Critical/Cultural Studies. 13(1), 23-29 https://www.tandfonline.com/doi/full/10.1080/14791420.2015.1091940

Hunt, T. (2018). A movement divided: SlutWalks, protest repertoires and the privilege of nudity. Social Movement Studies. https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/14742837.2018.1499509

Johnston, H., & Klandermans, B. (1995). Social Movements and Culture. Routledge.

Kulick, D. (1998). Travesti: Sex, gender, and culture among Brazilian transgendered prostitutes. University of Chicago Press.

McAdam, D. (1999). Political Process and the Development of Black Insurgency, 1930-1970. University of Chicago press.

New York Daily News. (2012, January 5). Euro 2012: FEMEN activists protest EURO 2012. https://www.nydailynews.com/sports/euro-2012/euro-2012-femen-activists-protest-euro-2012-tournament-promote-sex-tourism-ukraine-article-1.1090224

NEWS WIRES. (2013, May 29). Foreign activists arrested for topless protests in Tunisia. France 24. https://www.france24.com/en/20130529-french-german-activists-femen-arrested-topless-protest-tunisia

O'Keefe, T. (2014). My body is my manifesto! Slutwalk, Femen and Feminist protest. Feminist Review. https://philpapers.org/rec/OKEMBI

Ortiz, I., Burke, S., Berrada, M., & Cortes, H. S. (2021). World Protests: A Study of Key Protests Issues in the 21st Century. Palgrave Macmillan. https://library.fes.de/pdf-files/bueros/usa/19020.pdf

Reed, T. V. (2019). The Art of Protest: Culture and Activism from the Civil Rights Movement to the Present. U of Minnesota Press.

Sultana, P. (2015). Nakedness and Resistance: Understanding Naked Protest of Women. JNU. https://www.academia.edu/11723250/Nakedness_and_Resistance_Understanding_Naked_Protests_of_Women

Sutton, B. (2007). Naked Protest: Memories of Bodies and Resistance at the World Social Forum. Journal of International Women's Studies, 8(3). https://vc.bridgew.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1390&context=jiws

Sutton, B. (2010). 6. Bodies in Protest: Poner el Cuerpo. In Bodies in Crisis: Culture, Violence, and Women's Resistance in Neoliberal Argentina. Rutgers University Press. https://www.degruyter.com/document/doi/10.36019/9780813555416-007/html

Tarrow, S. (2011). Power in Movement: Social Movements and Contentious Politics (3rd ed.). Cambridge University Press.

Taylor, A. (2021, November 4). Why is the world protesting so much? A new study claims to have some answers. Washington Post https://www.washingtonpost.com/world/2021/11/04/protests-global-study/

The Moscow Times. (2023, June 4). Femen sentences for topless protest. https://www.themoscowtimes.com/2012/03/05/after-election-russias-artistic-community-ponders-future-a34313

Tilly, C. (1978). From Mobilization to Revolution. Addison Wesley Publishing Company.

Tilly, C. (1978). From Mobilization to Revolution. The University of Michigan.

Tilly, C., & Tarrow, S. G. (2015). Contentious Politics. Oxford University Press.

True, J. (2012). The Political Economy of Violence against Women. Oxford University Press.

Valenti, J. (2011, June 3). Slutwalks and the future of feminism. Washington Post. https://www.washingtonpost.com/opinions/slutwalks-and-the-future-of-feminism/2011/06/01/AGjB9LIH_story.html

დანართი #1

ინტერვიუს გზამკვლევი

რესპონდენტი: ორგანიზაცია „SlutWalk”-ის წევრი და აქტივისტი

1. მოგვიყევით, რა არის ორგანიზაცია „SlutWalk”-ის მისია\ხედვა.
2. გთხოვთ, გვესაუბროთ „SlutWalk”-ის მიერ ორგანიზებულ მნიშვნელოვან კამპანიებზე.
3. რატომ გადაწყვიტეთ გამხდარიყავით „SlutWalk”-ის აქტივისტი და ჩაბმულიყავით ორგანიზაციის მუშაობაში?
4. თქვენი გადმოსახედიდან, ძირითადად რა ფაქტორებმა განაპირობა პროტესტებისას გამჭვირვალე ტანსაცმლის (თეთრეულის, საცურაო კოსტუმების) ჩაცმა, რიგ შემთხვევაში კი სრული სიშიშვლეც კი?
5. როგორ აფასებს „SlutWalk”-ი მსგავსი ჩაცმულობის ან თუნდაც სიშიშვლის გავლენას, როგორც ცნობიერების ამაღლების, ასევე ცვლილებების განხორციელების თვალსაზრისით?
6. თქვენი, როგორც აქტივისტის გადმოსახედიდან როგორ აღიქმება „SlutWalk”-ის პროტესტები მედიის და ფართო საზოგადოების მიერ?
7. მოგვიყევით რა გამოწვევებთან და წინააღმდეგობებთან არის დაკავშირებული მსგავსი პროტესტი, როგორც პრაქტიკული თვალსაზრისით, ასევე სოციალური და პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებითაც?
8. თქვენი გამოცდილებიდან, რამდენად იზიარებენ სხვა საპროტესტო მოძრაობები\ორგანიზაციები აქტივიზმის ამ ფორმას, ანუ რამდენად აქვს ჯაჭვური ეფექტი შიშველ აქტივიზმს?
9. როგორ განაგრძობს თქვენი აქტივიზმი ადაპტირებას და განვითარებას ცვალებად პოლიტიკურ და კულტურულ ლანდშაფტში?
10. რამეს ხომ არ დაამატებდით?

Interview guide

Respondent: member and activist of the "SlutWalk" organization

1. Tell us about the mission/vision of the "SlutWalk" organization.
2. Please tell us about important campaigns organized by "SlutWalk".
3. Why did you decide to become an activist for "Slutwalk" and engage with the work of the organization?
4. From your point of view, what are the mail factor that have led to wearing revealing clothes during protests, and it some cases, complete nudity?
5. How does "SlutWalk" measure the impact of dressing like this (revealing clothes), or even being naked?
6. From your point perspective as an activist, how do you perceive S the media and the general public's reception of "SlutWalk" protests?
7. Tell us more what challenges and contradictions associated with such a protest, considering both practical aspects and the social and political context?
8. In your experience, to what extent do other protest movements/organizations embrace this form of activism, i.e. does naked protest have a chain effect?
9. How does your activism continue to adapt and evolve in response to the changing social, cultural and political landscape?
10. Is there anything else you would like to add?

დანართი #2

ინტერვიუს გზამკვლევი

რესპონდენტი: ორგანიზაცია „FEMEN”-ის წევრი და აქტივისტი

1. მოგვიყევით, რა არის ორგანიზაცია „FEMEN”-ის მისია\ხედვა.
2. გთხოვთ გვესაუბროთ „FEMEN”-ის მიერ ორგანიზებულ მნიშვნელოვან კამპანიებზე.
3. თქვენი გადმოსახედიდან, ძირითადად რა ფაქტორებმა განაპირობა პროტესტებისას ე.წ. „ტოპლეს“ აქტივიზმის გამოყენება?
4. რატომ გადაწყვიტეთ გამხდარიყავით „FEMEN”-ის აქტივისტი და ჩაბმულიყავით ორგანიზაციის მუშაობაში?
5. უფრო მეტად რომ ვისაუბროთ თუ როგორ აფასებს „FEMEN”-ი შიშველი აქტივიზმის გავლენას, როგორც ცნობიერების ამაღლების, ასევე ცვლილებების განხორციელების თვალსაზრისით?
6. თქვენი, როგორც აქტივისტის გადმოსახედიდან როგორ აღიქმება ე.წ „ტოპლეს“ პროტესტის მედიის და ფართო საზოგადოების მიერ?
7. მოგვიყევით რა გამოწვევებთან და წინააღმდეგობებთან არის დაკავშირებული „ტოპლეს“ პროტესტი, როგორც პრაქტიკული თვალსაზრისით, ასევე სოციალური და პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებითაც?
8. თქვენი გამოცდილებიდან, რამდენად იზიარებენ სხვა საპროტესტო მოძრაობები\ორგანიზაციები აქტივიზმის ამ ფორმას, ანუ რამდენად აქვს ჯაჭვური ეფექტი „ტოპლეს“ ატივიზმს?
9. როგორ განაგრობძს აქტივიზმის ეს ფორმა ადაპტირებას და განვითარებას ცვალებად პოლიტიკურ და კულტურულ ლანდშაფტში?
10. რამეს ხომ არ დაამატებდით?

Interview guide

Respondent: member and activist of the "FEMEN" organization

1. Tell us about the mission/vision of the "FEMEN" organization.
2. Please tell us about important campaigns organized by "FEMEN".
3. From your point of view, what are the main factor that led to adopt of the so-called "topless" activism in FEMEN's protests?
4. Why did you decide to become an activist for "FEMEN" and engage with the work of the organization?
5. How does "FEMEN" measure the impact of "topless" protest in terms of raising awareness and effecting change?
6. From your point perspective as an activist, how do you perceive the media and the general public's reception of "FEMEN" protests?
7. Tell us more what challenges and contradictions associated with the "topless" activism, considering both practical aspects and the social and political context?
8. In your experience, to what extent do other protest movements/organizations embrace this form of activism, i.e., does naked protest, "topless" activism have a chain effect?
9. How does your activism continue to adapt and evolve in response to the changing social, cultural and political landscape?
10. Is there anything else you would like to add?